პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 300 (11304) | კვირა. 28 დეკემბერი. 1958 წ. | ფასი 20 კაპ

საბჭოთა კავშირს და მთელ სოციალისტურ ბანაკს აქვს საკმაო სიძლიერე, რათა ჭკუაზე მოიყვანოს გონს ალვირახსნილი აგრესორები. მაგრამ ხალხთა მშვიდობის [illegible] საქმე ჩვენთვის ყველაფერზე უფრო ძვირფასია. უმაღლესმა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის მთავრობას კვლავაც დაუცხრომლად იბრძოლოს იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ, ყველგან და უთუოდ შეწყდეს ატომგულის იარაღის გამოცდა სამუდამოდ.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

### ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე და ბერლინის საკითხზე

I

მოისმინა რა სსრ კავშირის მთავრობის ცნობა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას საბჭოთა კავშირის მიერ 1958 წლის 31 მარტიდან ყველა სახის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ცალმხრივი წესით შეწყვეტის შესახებ ღრმა კმაყოფილებით შეხვდნენ ყველა ქვეყნის ხალხები. ეს ისტორიული, უაღრესად ჰუმანური გადაწყვეტილება სამართლიანად მიაჩნიათ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად დედამიწაზე საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების და ატომური ომის მძიმე საფრთხისაგან კაცობრიობის სრული ხსნის გზაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო შეშფოთებით აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ხალხთა კანონიერი და სულ უფრო გაძლიერებული მოთხოვნებისა, ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი დღემდე უარს ამბობენ დათანხმდნენ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და ყველგან სამუდამოდ შეწყვეტაზე. უფრო მეტიც, 31 მარტის შემდეგ მათ მოაწყეს ამ იარაღის გამოცდის ყველაზე ინტენსიური სერია, ცდილობენ რა მიიღონ ცალმხრივი სამხედრო უპირატესობა საბჭოთა კავშირის წინაშე, რამაც აიძულა სსრ კავშირი თავისი უშიშროების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის, რომელიც განუყოფელია მთლიანად მშვიდობის დაცვის ინტერესებისაგან, განეახლებინა ატომგულის გამოცდა. მაგრამ საბჭოთა კავშირი ამჟამადაც მზად არის დაუყოვნებლივ აიღოს ხელი შემდგომ გამოცდაზე, თუ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი მზად არიან დადონ შეთანხმება ყველა სახის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ, ასეთი შეთანხმების დაცვისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაწესებით.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიაჩნია, რომ ამჟამად მით უმეტეს არ არის არავითარი საფუძველი ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დადების შემდგომი შეფერხებისათვის, რამდენადაც ექსპერტთა ჟენევის თათბირმა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ატომური ენერგიის დარგში მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილმა მეცნიერებმა, ერთსულოვნად დაადასტურა ასეთი შეთანხმების განხორციელებისადმი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის სრული შესაძლებლობა.

ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, რომელიც ამჟამად ჟენევაში წარმოებს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი ჯერ კიდევ არ იჩენენ მზადყოფნას დათანხმდნენ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ყველგან სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დადებაზე.

ყველა ქვეყნის ხალხები მტკიცედ და გადაჭრით მოითხოვენ იმ სახელმწიფოებისაგან, რომლებსაც ატომური და წყალბადის იარაღი აქვთ, კანონგარეშე დააყენონ მასობრივი მოსპობის ამ იარაღის გამოცდა და ეს მოთხოვნები დღითიდღე გაიზრდება მანამდე, სანამ ბოლო არ მოეღება სულ უფრო გამანადგურებელ სახეობათა ატომური და წყალბადის ბომბების შექმნას და ადამიანთა ჯანმრთელობაზე ატომური რადიაციის მავნე ზემოქმედების სულ უფრო მზარდ საფრთხეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ სახელმწიფოები, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ დღემდე კიდევ არ მოეღებია ბოლო ატომგულის იარაღის ექსპერიმენტულ აფეთქებებს, გადადგამენ ყველა საჭირო ნაბიჯს, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება ამ საკითხზე, რომელიც დიდად აღელვებს მთელ კაცობრიობას და ეხება არა მარტო ახლანდელი თაობის, არამედ აგრეთვე მომავალ თაობათა უშიშროებისა და კეთილდღეობის ინტერესებს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი კვლავაც გააკეთებს ყოველივე შესაძლებელს, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა უახლოეს ხანში გადაიჭრას.

თვლის რა, რომ ყველა სახის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა გამალებული შეიარაღებისა და „ცივი ომის“ პოლიტიკის შეწყვეტის საქმეში, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს**:

1. მოწონებულ იქნას სსრ კავშირის მთავრობის პოლიტიკა და პრაქტიკული ღონისძიებანი ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში.

2. დაევალოს სსრ კავშირის მთავრობას კვლავაც აწარმოოს დაუცხრომელი ბრძოლა ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ, ყველგან და უშენიშვნოდ **სამუდამოდ** შეწყვეტისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი თავის მხრივ განახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა მიღწეულ იქნას ეს დიადი და კეთილშობილური მიზანი, რომელიც შეესაბამება ყველა ხალხის მისწრაფებებს.

II

მოისმინა რა სსრ კავშირის მთავრობის პასუხი დეპუტატთა ჯგუფის შეკითხვაზე ბერლინის საკითხის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კმაყოფილებით აღნიშნავს სსრ კავშირის მთავრობის ინიციატივას, რომელიც გამოვიდა წინადადებით დასავლეთ ბერლინის დემილიტარიზებულ თავისუფალ ქალაქად გადაქცევის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს, რომლებმაც დიდი ხანია უარი თქვეს მთავარზე, რასაც შეიცავდა სამოკავშირეო ხელშეკრულებები და ომის შემდეგ გერმანიის მიმართ ერთობლივი პოლიტიკის შესახებ შეთანხმებები, არავითარი უფლება და საფუძველი არა აქვთ იმისათვის, რომ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას თავს მოახვიონ სამხედრო ოკუპაციის რეჟიმი.

დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ დასავლეთ ბერლინში მათი ჯარების ყოფნის გამოყენება საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირე ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის საწარმოებლად ამწვავებს ურთიერთობას სახელმწიფოებს შორის და შეიცავს სერიოზულ საფრთხეს ევროპის მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

სსრ კავშირის მთავრობის წინადადებანი ბერლინის საკითხზე იქითკენ არის მიმართული, რომ მიღწეულ იქნას საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, ბოლო მოეღოს „ცივი ომის“ მდგომარეობას და გზა გაიწმინდოს საბჭოთა კავშირს, შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის კეთილი ურთიერთობის აღსადგენად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ღრმა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებებმა ბერლინის საკითხზე მხურვალე მხარდაჭერა და მოწონება ჰპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ, რომლის ტერიტორიაზეც მდებარეობს ბერლინი, აგრეთვე მთელი რიგი სხვა სახელმწიფოების ხალხებისა და მთავრობების მხრივ, რომლებსაც ესმით, რომ დასავლეთი ბერლინი, იმყოფება რა ნატოს მონაწილე სახელმწიფოთა ოკუპაციაში, ისეთი პუნქტი გახდა, სადაც ყოველ მომენტში შეიძლება წარმოიშვას კონფლიქტი, რომელსაც შეუძლია მძიმე შედეგები გამოიწვიოს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. ბერლინის საკითხის გადაჭრა და ამით დასავლეთ ბერლინში ნორმალური პირობების შექმნა არსებითად გააადვილებდა ევროპის უშიშროების საკითხისა და სხვა მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას.

იღებს რა მხედველობაში, რომ საოკუპაციო რეჟიმის შეწყვეტა და დასავლეთ ბერლინის თავისუფალ ქალაქად გადაქცევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ევროპაში დაძაბულობის შენელებას და ახალი ომის წარმოშობის საფრთხის შემცირებას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს**:

მოწონებულ იქნას სსრ კავშირის მთავრობის პოლიტიკა და პრაქტიკული მოქმედება ბერლინის საკითხში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო მოუწოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შეიტანონ თავიანთი წვლილი ბერლინის საკითხის მოწესრიგების საქმეში ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესების შესაბამისად.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1958 წ. 25 დეკემბერი.

## სასიხარულო ცნობები

### ფერადი ლითონების წარმოების 1958 წლის გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ

სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მუშაკებმა, რომლებიც იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, ვადამდე შესრულეს უმნიშვნელოვანეს სახეობათა ფერადი ლითონების წარმოების 1958 წლის გეგმა.

წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით წარმოებულ იქნება სპილენძის, ალუმინის, ტყვიის, თუთიის, ნიკელის, მაგნიუმის, კობალტის, კალის, ტიტანის, მოლიბდენის პროდუქციისა და სხვა სახეობათა ფერადი ლითონების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

### შავი მეტალურგიის, სათბობის მრეწველობისა და ელექტროსადგურების მიერ პროდუქციის წარმოების გეგმის ვადამდე შესრულების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად სოციალისტური შეჯიბრების განვითარების საფუძველზე შავი მეტალურგიის მუშაკებმა 27 დეკემბერს წარმატებით შეასრულეს წლიური გეგმა მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით — თუჯისა და ფოლადის გამოდნობისა და ნაგლინის წარმოების დარგში.

1958 წელს წარმოებულ იქნება 39,6 მილიონი ტონა თუჯი, დაახლოებით 55 მილიონი ტონა ფოლადი, დაახლოებით 43 მილიონი ტონა შავი ლითონების ნაგლინი.

დაწესებული გეგმის გადაჭარბებით გამოდნობილ იქნება 1 მილიონ ტონაზე მეტი ფოლადი და 1 მილიონ ტონაზე მეტი შავი ლითონების ნაგლინი.

ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის და რაიონული ელექტროსადგურების მუშაკებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე ვადამდე შეასრულეს დავალებანი, რომლებიც დაწესებულია 1958 წლისათვის ქვანახშირის, ნავთობის მოპოვებისა და რაიონული ელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების დარგში.

ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა შესრულებულია 26 დეკემბერს, ნავთობის მოპოვებისა და ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა შესრულებულია 27 დეკემბერს.

გეგმის გადაჭარბებით ამოღებულ იქნება დაახლოებით 8 მილიონი ტონა ქვანახშირი, დაახლოებით 1,5 მილიონი ტონა ნავთობი და გამომუშავებულ იქნება 2,6 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.**

### ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეორე ტომი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის მეხუთე გამოცემის მეორე ტომი, რომელიც მოამზადა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ.

## ჩვენი ხალხის წინსვლისა და გამარჯვების კანონი

★ ★ ★

### ერთსულოვნად იწონებენ

თბილისის მე-4 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი გულმოდგინედ ადევნებდა თვალყურს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობას. გაეცნენ რა კანონს „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ სსრ კავშირში“, პედაგოგები ერთსულოვნად აღნიშნავენ, რომ ეს კანონი სწორი და დროულია. საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა პ. ჩირგაძემ თქვა, რომ მოსწავლეები, სკოლიდანვე ეზიარებიან რა საზოგადოებრივსასარგებლო შრომას, შეძლებენ შემდეგში მეტი სარგებლობა მოუტანონ თავიანთ სამშობლოს. სკოლა პოლიტექნიზაციის გზას სულ რამდენიმე წლის წინათ დაადგა, ეს კი უკვე დაეტყო მოსწავლეთა წარმატებასა და ყოფაქცევას — ისინი უფრო სერიოზულად ეკიდებიან საქმეს, გაკვეთილებზე ყურადღებით არიან და ცოდნის მოყვარეობას იჩენენ, რადგან ფიქრობენ, ის, რასაც დღეს სკოლაში ვისწავლით, ხვალ ქარხანაში გამოგვადგებაო.

საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი განათლების რვაწლიანი განათლებით შეცვლა დადებითს ეფექტს მოგვცემს, ამბობს ფიზიკის მასწავლებელი თ. ღამბაშიძე — ახალგაზრდობა სკოლაშივე შეისწავლის წარმოების ზოგიერთ საფუძველს, ხოლო შემდეგ პრაქტიკულად გამოიყენებს თავის ცოდნას ცხოვრებაში. 15-16 წლიდან იმუშავებს რა წარმოებაში, ახალგაზრდობას ყველა შესაძლებლობა ექნება მიიღოს საშუალო განათლება საღამოს სკოლების ფართო ქსელში.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის იმ მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ სკოლამ მოსწავლეებს უნდა ჩაუნერგოს ცოდნისა და შრომის სიყვარული, მშრომელ ადამიანთა პატივისცემა, ჩამოუყალიბოს კომუნისტური მსოფლმხედველობა მოსწავლეებს, — თქვა სკოლის დირექტორმა ა. ქურიძემ. — ჩვენს სკოლაში, მაგალითად, მე-9 მეორე კლასმა წამოიწყო შეჯიბრება იმისათვის, რომ ჩინებული სწავლა შეუხამონ ბეჯით შრომას წარმოებაში. მეცხრეკლასელთა თაოსნობას გამოეხმაურა სკოლის ყველა უფროსი კლასი. მე-10 პირველმა კლასმა ვალდებულება იკისრა დაიცვას სკოლაში სანიმუშო დისციპლინა და სისუფთავე, მე-9 პირველმა კლასმა იკისრა ორანჟერიის შეფობა და სხვ. ახალი კანონი, უეჭველია, ნაკარნახევია ცხოვრებით და მისი განხორციელება მთელი საბჭოთა ხალხის საარსებო ამოცანაა. (საქინფორმ).

## ახალი მძლავრი პერსპექტივები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ მიღებულმა კანონმა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ, კერძოდ, კანონის IV ნაწილმა „უმაღლესი სკოლის შესახებ“ უდიდესი მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვია თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთელ კოლექტივში.

კანონი ფართო პერსპექტივებს შლის ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სკოლის სისტემის შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის, ცხოვრებასთან მისი კავშირის განმტკიცებისათვის.

სიამაყის გრძნობით უნდა ითქვას, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ყოველ ათას კაცზე 22 უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი მოდის, რითაც ბევრი კაპიტალისტური ქვეყანა მოვიტოვეთ უკან. ამჟამად საქართველოს 19 უმაღლეს სასწავლებელში 43 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

— მაგრამ დიდი წარმატებების მიუხედავად, — ამბობს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი თ. მრეველიშვილი, — სახალხო განათლების ახლანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. კანონი ითვალისწინებს საბჭოთა ახალგაზრდობის ისე აღზრდას, რომ ამაღლდეს მისი კომუნისტური შეგნებულობა და შრომითი აქტივობა, გამოუმუშავდეს მას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის ჩვევები.

— კანონით დასახულია, — განაცხადა უნივერსიტეტის პრორექტორმა სასწავლო ნაწილში პროფესორმა გ. ხავთასმა, — საუნივერსიტეტო განათლების შემდგომი აღმავლობა, კერძოდ, უნივერსიტეტში მათემატიკის, ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის მეცნიერებათა ახალი დარგების სპეციალისტთა მომზადების გადიდება. ამიერიდან მტკიცე საფუძველი ეყრება სტუდენტთა თეორიული სწავლებისა და მათი ნაყოფიერი შრომის კეთილნაყოფიერ შეერთებას.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი კოლექტივის წინაშე, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დასახულია ახალი დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები — კანონის შესაბამისად წარმართონ სტუდენტთა აღზრდა, მოუმზადონ სამშობლოს ყოველმხრივ განვითარებული, შრომისმოყვარე გამოცდილ სპეციალისტთა კადრები.

უნივერსიტეტის კოლექტივი პირობას იძლევა ღირსეულად შეასრულოს ეს ამოცანა.

## სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფში

26 დეკემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ო. ვ. კუუსინენის თავმჯდომარეობით გაიმართა საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

სხდომაზე კომიტეტის წევრმა დეპუტატმა ი. ი. პალეცკისმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ, გააცნო საპარლამენტთაშორისო კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის 112-ე სესიის შედეგები. სესია გაიმართა ჟენევაში დეკემბრის დამდეგს.

ამხ. პალეცკისმა განაცხადა, რომ კავშირის მუშაობის მორიგი წლის პროგრამა, რომელიც აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა, შეიცავს საერთაშორისო ურთიერთობის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან და აქტუალურ საკითხებს. ამ საკითხებს შორის არის: საერთო და რეგიონალური ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობენ განიარაღების პრობლემის გადაჭრას; ომის პროპაგანდის თავიდან აცილების ღონისძიებანი; საერთაშორისო ვაჭრობის დაბრკოლებათა აღმოფხვრა; ახალგაზრდობის აღზრდა მშვიდობის, საერთაშორისო მეგობრობისა და მოქალაქეობრივი მოვალეობის სულისკვეთებით; ნეიტრალიტეტის პოლიტიკა როგორც მშვიდობის განმტკიცების ფაქტორი; პროფკავშირთა განვითარება და შრომის ორგანიზაცია, აგრეთვე განათლების პრობლემა არათვითმმართველ ტერიტორიებზე.

კომიტეტმა მოიწონა ი. ი. პალეცკისის ინფორმაცია.

შემდეგ სხდომის მონაწილეებმა განიხილეს საპარლამენტთაშორისო კავშირის 1959 წლის გაზაფხულის სხდომებისათვის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მზადების საკითხები. ინფორმაცია მზადების გეგმის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მდივანმა დეპუტატმა ზ. ა. ლებედევმა.

კომიტეტმა დაამტკიცა ეს გეგმა. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება იმ კომისიათა შემადგენლობის შესახებ, რომლებიც შეიქმნა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფში იმ საკითხების განსახილველად, რომლებსაც განიხილავს საპარლამენტთაშორისო კავშირი. ეს კომისიები შემდეგია: პოლიტიკურ და იურიდიულ საკითხთა, განიარაღების საკითხთა, ეკონომიურ და სოციალურ საკითხთა, კოლონიურ პრობლემათა და კულტურული ურთიერთობის საკითხთა. (საქინფორმ).

## მახარაძელთა დელეგაცია უკრაინაში გაემგზავრა

მახარაძე. (ტელეფონით. საქ. კორ.). ამ დღეებში მახარაძის რაიონის მშრომელთა დელეგაცია უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონში გაემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: დ. ჭანტურია (პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანი, დელეგაციის ხელმძღვანელი), დ. მჟავია (სოფლის მეურნეობის ინსპექციის მთავარი აგრონომი), გ. წითლიძე (ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე) და სხვ.

მახარაძელ მშრომელთა დელეგაცია გენიჩესკის რაიონში დარჩება რამდენიმე დღეს.

## საქართველოს პროფსაბჭოში

### გავაფართოოთ კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნისათვის მოძრაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, ისევე როგორც ყველა მშრომელი, დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. ყრილობისწინა შეჯიბრებაში ისინი დიდ შემოქმედებითს ინიციატივას იჩენენ. მასების შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობის მკაფიო გამოვლინებაა ბრიგადების შეჯიბრება კომუნისტური შრომის კოლექტივთა წოდებისათვის კრწანისის სანაშენო საბჭოთა მეურნეობაში, ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავეში“, გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და სხვაგან. ბრიგადები, რომლებიც ჩაბმული არიან შეჯიბრებაში კომუნისტური შრომის კოლექტივების წოდებისათვის, გვიჩვენებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ამაღლებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის მაგალითს, ისწრაფვიან პირნათლად განახორციელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს, აგრეთვე მუშათა კომიტეტებს ფართოდ დაუჭირონ მხარი მოწინავე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შემოქმედებით ინიციატივას კომუნისტური შრომის ბრიგადების წოდებისათვის შეჯიბრების გაშლის საქმეში. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა განუმარტონ და გააცნონ მასებს კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნის მნიშვნელობა, უზრუნველყონ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკების იმ ახალ პატრიოტულ წამოწყებათათვის ყოველი ღონისძიებით მხარდაჭერა, რომელთა მიზანია წარმატებით შესრულდეს პარტიის დიდებული წინასწარდასახულობანი.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით შეეწყოს ხელი იმას, რომ განვითარდეს შეჯიბრება კომუნისტური შრომის ბრიგადების საპატიო წოდებისათვის, შესწავლილ იქნას და გავრცელდეს საუკეთესო ბრიგადების მუშაობის გამოცდილება, შეექმნათ მათ პირობები მაღალ მაჩვენებელთა მისაღწევად შრომასა და სწავლაში. (საქინფორმ).



თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლის დირექტორი გ. თაბაგარი მასწავლებელთა ერთ ჯგუფს აცნობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ მიღებულ კანონს „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ XXI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის შესახვედრად

# იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალება გამოვიყენოთ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად

## თათბირი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ამ დღეებში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის, კიდევ უფრო გაძლიერდა პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობა. ყველა პარტიული ორგანიზაციის უპირველესი მოვალეობაა გახადონ ჩვენი პროპაგანდა მძლავრი იარაღი გაშლილი კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობის საკითხს მიეძღვნა თათბირი, რომელიც გაიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. თათბირში მონაწილეობა მიიღეს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა, პოლიტიკური განათლების კაბინეტებისა და სახლების გამგეებმა, რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორებმა, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა.

თათბირზე საინფორმაციო მოხსენებები გააკეთეს საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. კ. დოლიძემ და საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ჯაველიძემ.

პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ შეჯამებულია ჩვენი ხალხის უდიდესი მიღწევანი, მოცემულია საბჭოთა ქვეყნის განვითარების თანამედროვე პერიოდის ღრმა დახასიათება, დასახულია სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების დიდებული პერსპექტივები. მომავალი შვიდწლედის გიგანტურ სამუშაოთა გრანდიოზულ პროგრამას საბჭოთა ადამიანები ილებენ როგორც ლენინის უკვდავი ანდერძის ცოცხალ განსახიერებას. იგი მიაჩნიათ თავის საკუთარ, მშობლიურ საქმედ.

კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანები მოითხოვენ პარტიული ორგანიზაციებისაგან იდეოლოგიური მუშაობის ახალ აღმავლობას კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გაუმჯობესებას, მასებში პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას, მათი შეგნებულობისა და შრომითი აქტივობის შემდგომ გაძლიერებას.

მოხსენებებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა პროპაგანდისტული მუშაობის იდეური დონე. იგი უფრო დაუახლოვდა ცხოვრებას, უფრო მიზანსწრაფული და კონკრეტული გახდა.

აჭარისა და ქუთაისის პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დოკუმენტების პროპაგანდა. ეწყობა კვალიფიციური ლექციები, მოხსენებანი, თეორიული კონფერენციები, რომლებიც დაკავშირებულია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან. დიდი ინტერესით ჩაიარა ქუთაისში, აგრეთვე ხულოს რაიონში თეორიულმა კონფერენციებმა, რომლებიც მიეძღვნა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებიდან და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებიდან გამომდინარე საკითხებს.

საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წაკითხულია ლექციები თემებზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანები", „კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა", „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის საერთაშორისო მნიშვნელობა" და სხვები. ქუთაისისა და ბათუმის მსხვილ საწარმოებში შეიქმნა მომხსენებელთა ჯგუფი. ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა მოისმინეს საწარმოს დირექტორის შ. კიკნაძის მოხსენება „საავტომობილო მრეწველობა მომავალ შვიდწლედში". მთავარი ინჟინრის მოადგილემ გ. კობალაძემ ილაპარაკა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის განვითარების პერსპექტივებზე შვიდწლედის მანძილზე.

ქუთაისის საწარმოებსა და დაწესებულებებში მოწყობილია სტენდები და გამოფენები „საბჭოთა კავშირი მომავალ შვიდწლედში". პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლში, აჭარაში, პარტიის რაიკომების პოლიტიკური განათლების კაბინეტებში, აგრეთვე ბიბლიოთეკებში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისადმი მიძღვნილი გამოფენები. პარტიული ორგანიზაციები უნარიანად იყენებენ მასობრივი საგიტაციო მუშაობის მრავალგვარ ფორმას. დიდ ინტერესს იწვევენ კითხვისა და პასუხის საღამოები, თემატიკური საღამოები.

მოსახლეობაში საგიტაციო მუშაობის ნამდვილი კერები გახდნენ მუდმივად მოქმედი საგიტაციო პუნქტები სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანასთან, მანქანათსაშენებელ ქარხანასთან, რკინიგზის კვანძთან და სხვ.

თათბირის მონაწილეებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ რა მხურვალე მხარდაჭერა პოვა საქართველოს მშრომელებში შესანიშნავმა მოძრაობამ, რომელიც დაიწყეს მოსკოვ-მახარისხებელი დეპოს კომუნისტებმა და კომკავშირელებმა. ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოწინავე ბრიგადებმა გააჩაღეს შეჯიბრება კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდებისათვის. საჭიროა უფრო ფართოდ გაჩაღდეს მუშაობა ამ ძვირფასი ინიციატივის გასავრცელებლად, ყოველმხრივი დახმარება უნდა გავუწიოთ კომუნისტური შრომის ბრიგადებს, არ დავუშვათ მათი შექმნისას ფორმალიზმი.

თათბირზე აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ შესამჩნევად გაძლიერდა პოლიტიკური აგიტაცია მასებში. საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ათასობით აგიტატორი მშრომელებს რაზმავს პარტიის დიდებულ წინასწარდასახულებათა შესრულებისათვის საბრძოლველად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ფაბრიკა-ქარხნებში, სოფლად გაგზავნა 600 მომხსენებელი და ლექტორი ნოემბრის პლენუმის მასალების პროპაგანდისათვის. თბილისში, სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, ქუთაისსა და ახალქალაქში გაიმართა რესპუბლიკის აგიტატორთა კოლექტივების ხელმძღვანელების ზონალური სემინარები, მოეწყო რაიონული გაზეთების რედაქტორთა ათი დღის სემინარი.

აფხაზეთში, — თქვა თავის სიტყვაში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. მ. ხვარცკიამ, — ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად. მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა თავს იჩენს წარმოების ზრდისა და გაუმჯობესების დამატებითი რეზერვების ძიებით, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებით, პროდუქციის გამოშვების ზრდით, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებით. მიმდინარე პოლიტიკის წრეები და სემინარები სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალებს. კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელ წრეებში და სემინარებზე მოეწყო სპეციალური მეცადინეობა ნოემბრის პლენუმის მასალებზე. მარტო ადგილობრივი ლექტორებისა და მომხსენებლების ძალებით წაკითხულია ათასზე მეტი ლექცია, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისადმი.

თათბირის მონაწილეები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ უკანასკნელ დროს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დააგროვეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დადებითი გამოცდილება. საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. მ. გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობს 14 ათასზე მეტი აგიტატორი, რომლებიც განმარტავენ პოლიტიკურ საკითხებს, უნარიანად აჩამებენ წარმოების კონკრეტულ ამოცანებს. პოლიტიკური აგიტაცია მიმართულია თვითეული მუშის შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარებისაკენ, თვითეული ბრიგადის, საამქროს, საწარმოს მიერ საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისაკენ.

პრესა, რადიო, ტელევიზია, აგიტაციისა და პროპაგანდის მთელი მრავალნაირი ფორმა უნდა გამოვიყენოთ, რათა ფართოდ და თვალსაჩინოდ ვუჩვენოთ კომუნისტური შრომის ბრიგადების, წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა, საუკეთესო კოლექტივთა მიღწევა და გამოცდილება, საჭიროა, რომ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრთა, ყველა მუშის კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენმა ინტელიგენციამ — მეცნიერებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, მასწავლებლებმა. მხარდაჭერის ღირსია საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ინიციატივა, რომლებმაც მჭიდრო კავშირი დაამყარეს ქარხანა „ელექტროავტომატის" მუშაკებთან.

თათბირზე ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ყველგან როდი შეეფერება გაზრდილ მოთხოვნებს. მუშაობის ეს უმნიშვნელოვანესი უბანი განსაკუთრებით ჩამორჩება რესპუბლიკის მთიან რაიონებში. შორეულ სოფლებში რეგულარულად არ იგზავნებიან ლექტორები და მომხსენებლები. თავის დროზე არ მიდის წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, რაშიც დამნაშავენი არიან „საქწიგნის" მუშაკები და კავშირგაბმულობის ორგანოები.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის არსებით ნაკლს წარმოადგენს თვალსაჩინო აგიტაციის სუსტი დაყენება. ამაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში პარტიის დუშეთის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ამხ. ა. ახობაძემ, პარტიის ახალქალაქის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. კ. კარახანიანმა და სხვებმა.

თათბირის მონაწილეებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მთელ რიგ რაიონებში დამაკმაყოფილებლად არ არის დაყენებული მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა. ცოტა და არა საკმაოდ კვალიფიცირებული ლექციები იკითხება საბუნებისმეტყველო თემებზე.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის განხორციელებაში დიდი როლი ეკუთვნით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. თათბირზე მკაცრად გააკრიტიკეს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველო, რომელიც სუსტად ეხმარება სოფლის კულტურის კერებს შინაარსიანი, ცოცხალი შემოქმედებითი მუშაობის მოწყობაში.

ჟურნალ „აგიტატორის ბლოკნოტის" მუშაობაზე ილაპარაკა ჟურნალის რედაქტორმა ამხ. რ. ქურციკიძემ. ჟურნალში სისტემატურად იბეჭდება მასალები აგიტატორთა დასახმარებლად, მაგრამ მასალების ხარისხი და ქმედითობა შეიძლება ბევრად უკეთესი ყოფილიყო, ჟურნალის მუშაობაში რომ მონაწილეობას იღებდეს პროპაგანდისტ მუშაკთა ფართო წრე.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ზ. ცხოვრებოვმა, პარტიის ზუგდიდის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ა. შეროზიამ და სხვებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ ჩაღდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრისა და დეკემბრის პლენუმების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა შეაჯამა უკანასკნელ ხუთ წელიწადში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები და დასახა სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დიდებული პროგრამა. სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის ფონზე განსაკუთრებით უბადრუკად გამოიყურება პარტიის მიერ განადგურებული მალენკოვის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ბულგანინისა და შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომლებიც ცდილობდნენ შეეფერხებინათ ძირეულ ღონისძიებათა განხორციელება სახალხო მეურნეობის აღმავლობის დარგში.

რესპუბლიკის ათასობით აგიტატორი მშრომელებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალებს. ყველგან დიდი სიხარულით მიიღეს ცნობა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ მიიღო კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ სსრ კავშირში. ამ კანონის განხორციელება უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და განათლების ამოცანები, რომლებიც დასახულია სკოლის წინაშე.

— ჩვენი პროპაგანდა, — თქვა პარტიის მახარაძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ნ. წიტაიშვილმა, — არის საბრძოლო იარაღი ბურჟუაზიული იდეოლოგიის, მისი რევიზიონისტული დამქაშების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ იგი უნდა იყოს უფრო აქტიური, შემტევი.

აგიტატორებისათვის, პროპაგანდისტებისათვის, ლექტორებისათვის ყოველდღიური დახმარების გაწევის საჭიროებაზე ილაპარაკა პარტიის მცხეთის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. გ. ხუტაშვილმა.

თათბირზე აღნიშნეს, რომ ბრძოლა მომავალი შვიდწლედის გრანდიოზული პროგრამის შესრულებისათვის მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის განუწყვეტლივ გაუმჯობესებას. პარტიული ორგანიზაციების მთელი მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობის მიზანი უნდა იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ყოველდღიური და ღრმა ახსნა-განმარტება, მშრომელთა ფართო მასების მობილიზაცია მომავალი შვიდწლედის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად. ფართოდ უნდა გამოვიყენოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება — ლექციები, მოხსენებანი, საუბრები, პლენუმების მასალების წაკითხვა, პრესა, რადიო, ტელევიზია, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში უნდა ჩავაბათ ხელმძღვანელი, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები. საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა მოვაწყოთ მეცნიერული სესიები, ეკონომიური და თეორიული კონფერენციები, გასაუბრებანი სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სახალხო განათლების სისტემის ძირეულ, თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. მ. გოგიჩაიშვილი. (საქ-დესი).



**1959 წლის დასასრულს ჩვენი დედაქალაქის სამრეწველო საწარმოები და მშრომელთა მრავალი ბინა მიიღებს ყარადაღის ბუნებრივ გაზს. ამ დროისათვის დამთავრებული უნდა იქნას თბილისის გაზსადენის პირველი რიგის სამუშაოები. ამჟამად ლენინის რაიონში, ავჭალის გზატკეცილზე, 26 კომისრის სახელობის რაიონში, სტალინის სახელობის სანაპიროს ორივე მხარეზე და ბევრ სხვა ადგილას გაცხოველებით მიმდინარეობს ტრანშეების გათხრა, მილების შედუღება და ჩაწყობა.**

**„თბილგაზმშენის" წინაშე ახლა მეტად სერიოზული ამოცანები დგას. გარდა იმისა, რომ გაყვანილი უნდა იქნას გაზსადენი ქუჩებში და მისი განშტოებანი საცხოვრებელ სახლებამდე, მშენებლებმა უნდა მოამზადონ გაზის მისაღებად 10 ათასი ბინა, ააგონ და მოაწყონ ოცამდე გაზის განმანაწილებელი სადგური.**

**ს უ რ ა თ ზ ე: გაზსადენის მილების ჩაწყობა სტალინის სახელობის სანაპიროს მარცხენა მხარეზე.**

ფოტო ფ. სტოლიაროვისა და გ. კიკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ფართოვდება დიადი თაოსნობა

## ჭიათურა-ნიკოპოლი

### ქართველ და უკრაინელ მაღაროელთა შეჯიბრება

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ერთმანეთს ეჯიბრებიან ჭიათურის მარგანტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს ო. ლორიას და ნიკოპოლის მარგანტრესტის ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს ო. იშჩენკოს კომუნისტური შრომის ცვლების კოლექტივები.

ამ დღეებში აქ მოვიდა მარგანეცის საქალაქო გაზეთ „შახტარ მარგანციას" ახალი ნომერი, სადაც მოთავსებულია კორესპონდენცია სათაურით „ქართველ და უკრაინელ მაღაროელთა გამოძახილი", სადაც ნათქვამია:

**„გაზეთმა „კომუნისტმა" გამოაქვეყნა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროს ამხ. ლორიას კომუნისტური შრომის ცვლის კოლექტივის წერილი. ამ ცვლის მაღაროელებმა გადაწყვიტეს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებან ოქტომბრის 40 წლისთავის სახელობის მაღაროს № 20 შახტის იმ ცვლასთან, რომელსაც სამთო ოსტატი ამხ. ო. იშჩენკო ხელმძღვანელობს.**

**ამხ. იშჩენკოს ცვლის კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ქართველ მეგობართა თაოსნობას და ასეთი პასუხი გაგზავნა:**

**„ჩვენ ერთსულოვნად ვიღებთ გამოწვევას, ვებმებით თქვენთან შეჯიბრებაში და ვალდებულებას ვიღებთ, რომ მნგრეველთა ბრიგადის ყოველი წევრი ცვლაში ნორმის ზევით გამოიღებს სულ მცირე ორ ტონა მარგანეცს, ხოლო ცვლა — სულ მცირე 14 ტონა მადანს. 1959 წელს ცვლის კოლექტივი სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცემს 4.200 ტონა მადანს. ყოველი ტონა მადნის თვითღირებულებას შევამცირებთ 47 კაპიკით; ავამაღლებთ წარმოების კულტურას; ვიქნებით სანიმუშონი ყოფა-ცხოვრებაში, ვიმუშავებთ და ვიცხოვრებთ კომუნისტურად".**

ჭიათურელი მაღაროელების მიერ გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით ნიკოპოლელებისათვის გაგზავნილი წერილი შეჯიბრების გაჩაღების შესახებ და ამხ. ო. იშჩენკოს საპასუხო წერილი გამოაქვეყნა აგრეთვე მაღაროს მრავალტირაჟიანმა გაზეთმა „ვოროშილოვეცმა".

ფართოვდება ო. ლორიას და ო. იშჩენკოს ცვლების კოლექტივების შეჯიბრება. გამარჯვებისათვის იბრძვიან ქართველი მაღაროელები. ო. ლორიას ცვლის კოლექტივმა 26 დეკემბრისათვის შეასრულა დეკემბრის დავალება და მარგანეცს მომავალი შვიდწლედის ანგარიშში იძლევა. **(საქ. კორ.).**

## საოლქო შეკრებაზე

**ბათუმი.** (საქ. კორ.). ამ დღეებში აქ გაიმართა კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წოდების მოპოვებისათვის შეჯიბრებაში ჩაბმული ბრიგადების საოლქო შეკრება.

შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა კ. შავიშვილმა.

კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებისათვის მებრძოლი ბრიგადების ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლამარა ბოლქვაძე.

შეკრების მონაწილეებმა შეჯიბრებაში გამოიწვიეს აფხაზეთის ახალგაზრდები და კომკავშირელები, რომელთა წარმომადგენლებიც აღნიშნულ შეკრებას ესწრებოდნენ.

ჩვენი წინადადებები

# ხალხისათვის ახალ შვიდწლედში

## მომწიფებული საკითხები

პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებმა ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა დიდი ინტერესი გამოიწვია. თეზისები ახალ დიდ ამოცანებს უსახავს სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად კვლავ რჩება მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება, რომლის წარმატებით გადაწყვეტისათვის მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებას. ეს თეზისებშიც ხაზგასმით არის აღნიშნული.

სამწუხაროდ, ამ მხრივ მდგომარეობა არასახარბიელოა. ფერმებში ძირითადად გვყავს ადგილობრივი ჯიშის პირუტყვი, რომელიც ცოტასაც იწონის (დაახლოებით 200 კილოგრამს) და რძესაც მცირეს იძლევა (სეზონში საშუალოდ 700-800 კილოგრამს). შვიცის, ველის წითელი და სხვა ჯიშის პირუტყვის წველადობა კი საშუალოდ 3 ათასი კილოგრამია, ცალკეული ძროხები 5-6 ათას კილოგრამსაც იწველიან.

დროა ადგილობრივი ძროხები მთლიანად ჯიშიანი პირუტყვით შეიცვალოს. მაგრამ ჯიშიანი პირუტყვის შეძენა დიდ თანხებს მოითხოვს. კოლმეურნეობებს ერთბაშად ეს არ შეუძლიათ. მაღალპროდუქტიული ჯიშები, მე ვფიქრობ, შეგვიძლია ადგილზევე გამოვიყვანოთ, ადგილობრივ ძროხებთან ჯიშიანი ბუღა-მწარმოებლების შეჯვარებით. მეტისური თაობა კი სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას. დადასტურებულია, რომ ზოგჯერ იგი ხალასჯიშიანზე უფრო ეგუება გარემო პირობებს და მეტი პროდუქტიულობით ხასიათდება. კოლმეურნეობაში გვყავს შვიცის ჯიშის რამდენიმე მეტისი, რომლებიც საშუალოდ 3 ათას კილოგრამს იწველიან. მოვლის იმავე პირობებში ხალასი ჯიშის ძროხები 2.500-2.600 კილოგრამს იწველიან.

მაგრამ ბუღების შემოყვანაც დიდ სიძნელეებთან და თანხებთან არის დაკავშირებული. ამიტომ უმჯობესია რაიონებში შეიქმნას ხელოვნური დათესვლის პუნქტები. ისინი, გარდა კოლმეურნეობებისა, კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობებსაც მოემსახურებიან. ეს ღონისძიება იმითაც არის საყურადღებო, რომ ბუღის მწარმოებლობა ბუნებრივ დაგრილებასთან შედარებით სამჯერ-ოთხჯერ იზრდება.

ჩვენი ამოცანაა აგრეთვე შევამციროთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების თვითღირებულება. ამაში მთავარია შრომატევადი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია. აუცილებელია მრეწველობამ დიდი ოდენობით დაამზადოს ფერმებისათვის საჭირო იაფი მოწყობილობა (ავტოსარწყულებლები, ფურაჟის საფქვავები, ჩალის საკუწები, დასაორთქლი და სხვა მანქანები).

აუცილებელია გაუმჯობესდეს აგრეთვე კოლმეურნეთა მომარაგება მანქანების სათადარიგო ნაწილებით, ავტოსაბურავებით, რომელთა ნაკლებობასაც ჯერ კიდევ მწვავედ განვიცდით. სოფლისათვის მეტი რაოდენობით არის საჭირო აგრეთვე მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები პლანტაციებში სამუშაოდ, სიმინდის ასაღები კომბაინები და სხვ.

დასამალი არ არის, რომ კოლმეურნეობათა დიდი ნაწილი განიცდის მშენებელი სპეციალისტების: კალატოზების, დურგლების, შემლესავების, მღებავების ნაკლებობას და ხშირად მათი დაქირავება გვიხდება. ახლა, როცა პარტიამ და მთავრობამ დასახეს წარმოებასთან სკოლის მიახლოების დიდებული ამოცანა, კარგი იქნება, თუ ასეთ კადრებს სკოლაში მოამზადებენ. სახელოსნოების მოსაწყობად საჭირო იქნება სახსრები კოლმეურნეობებმა გაიღონ.

ჩვენში განსაკუთრებით ცუდად არის დაყენებული ავტომანქანის მძღოლთა მომზადება. „დოსააფის" ორგანიზაციებთან შექმნილ კურსებზე ამ საქმეს მეტად ზოგადად ასწავლიან რამდენიმე თვის განმავლობაში. ამას ემატება ისიც, რომ კურსების მსმენელები მეტწილად დაბალი განათლებით არიან.

ამრიგად, აქ საფუძვლიან ტექნიკურ ცოდნასაც ვერ იღებენ და შეიძლება ითქვას, მანქანის მხოლოდ მართვას სწავლობენ. ამის გამო გახშირდა ავარიის შემთხვევები, ცუდი მოვლის გამო მანქანები ადრე გამოდის მწყობრიდან.

ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება შეიქმნას ერთწლიანი ტექნიკური სასწავლებლები, სადაც ახალგაზრდები მიიღებენ საფუძვლიან ცოდნას ავტომანქანების მართვისა და ექსპლოატაციის დარგში.

თანამედროვე სოფელი ის აღარ არის, რაც წინათ იყო. იგი ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია. ზოგან საკუთარი კინოდანადგარიც მუშაობს. მის შეძენას ჩვენც ვაპირებთ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ან სპეციალურ სასწავლებლებში საჭიროა მოამზადონ აგრეთვე ზეინკლები, ელექტროშემდუღებლები, ელექტრომონტიორები. გვესაჭიროება აგრეთვე მზარეულები, კულინარები საბავშვო ბაღებისა და ბაგებისათვის, სასოფლო სასადილოსათვის. მათი მომზადებაც ამ წესით აჯობებდა.

**ა. კურდღელია,**
**ცხაკაიას რაიონის სოფელ ძველი სენაკის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.**

## ჩაის კულტურის სამუშაოთა მექანიზაციისათვის

ჩვენი კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითად წყაროს ჩაი წარმოადგენს. ჩაი 235 ჰექტარზე გვაქვს გაშენებული. აქედან 216 ჰექტარი სრულმოსავლიანია. შარშან მისგან მიღებულმა შემოსავალმა 4 მილიონ 350 ათას მანეთს მიაღწია. წელს კი 5 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. მოვკრიფეთ და სახელმწიფოს ჩავაბარეთ 545 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ტონისა. საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 2.500 კილოგრამის ნაცვლად 3.000 კილოგრამს მიაღწია. გვყავს ორი მილიონერი ბრიგადა. შარშან შრომადღეზე 25 მანეთი გავეცით, წელს კი 30 მანეთი გაიცემა.

მიუხედავად ამისა, ჩვენი რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ჩაის კულტურის მოვლა-დამუშავებას მნიშვნელოვანი ყურადღება როდი ექცევა. ეს იმიტომ, რომ ჩაი შრომატევადი კულტურაა და წლის ყოველ დროს მოითხოვს გულდადებულ შრომას. მართალია, პლანტაციების დასამუშავებლად მექანიზაცია დამკვიდრდა, მაგრამ იგი სრულყოფილი როდია. ჩვენი რაიონი მთაგორიანია. ჩაის პლანტაციები შეფენილია გორაკებზე. არა გვაქვს ისეთი მანქანები, რომლებიც ასეთ ადგილებში იმუშავებს. ამიტომ ბევრ კოლმეურნეობაში მნიშვნელოვანი სამუშაო ხელით სრულდება. საჭიროა შეიქმნას ისეთი მანქანები, რომლებიც განტვირთავს მუშახელს მძიმე სამუშაოსაგან. აუცილებელია აგრეთვე გაუმჯობესდეს ჩაის საკრეფი მანქანა და იგი გამოუშვან რაც შეიძლება მეტი.

გვალვიან ამინდში ჩაის პლანტაციების მორწყვა არ წარმოებს. ჩვენთან კი ბევრი წყალუხვი მდინარეა. საჭიროა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოაგვაროს ეს საკითხი.

**მ. ფიფია,**
**წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.**

## დავნერგოთ ბოსტნეულის საუკეთესო ჯიშები

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების პროექტით დასახულია ბოსტნეულის წარმოების განვითარება იმ ოდენობით, რაც სავსებით დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას.

ამ უკანასკნელ წლებში ქუთაისის რაიონში დიდი ყურადღება ექცევა ბოსტნეულის ახალი ჯიშების გამოყვანას. ქუთაისის მებოსტნეობის საცდელ-სასელექციო სადგურის მიერ სოფელ პატრიკეთის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში ჩატარებულმა სამი წლის საწარმოო გამოცდამ ცხადყო, რომ პამიდორის ახალი ჯიშები „ადრეულა" და „კოლხიდელი" უხვმოსავლიანია, ადრე შემოდის და მშრალი ნაშთის მეტ რაოდენობას შეიცავს, ვიდრე დღემდე დარაიონებული ჯიშები. მაგალითად, ჩვენს კოლმეურნეობაში „ადრეულას" ჯიშის პამიდორის მოსავლიანობამ 41 პროცენტით გადაამეტა „ბაზრის სასწაულის" ჯიშის მოსავლიანობას. პირადად მე მომაგრებულ ნაკვეთზე დარგული მქონდა „კოლხიდელის" ჯიშის პამიდორი და გათვალისწინებული 1.590 კილოგრამის ნაცვლად 2.800 კილოგრამი პამიდორი მივიღე.

ბოსტნეულის წარმოების შემდგომი გადიდების ინტერესები მოითხოვს მებოსტნეობის რაიონებსა და კოლმეურნეობებში ფართოდ და სწრაფად დაინერგოს პამიდორისა და სხვა ბოსტნეულის უხვმოსავლიანი, პერსპექტიული ჯიშები.

**გ. ადამაძე,**
**ქუთაისის რაიონის სოფელ პატრიკეთის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.**

## მშობლიური ბუნების დასაცავად

# რატომ არ ჩანან გულშემატკივარნი?!

დაბა სურამის მისადგომებიდან კარგად მოჩანს გორაკებსა და ფერდობებზე ზოლებად გადაშლილი წიწვიანი ტყის მასივები, რასაც 400 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ტყის მასივები ეგრეთწოდებულ ბაიანთხევისა და ნარვანის მიდამოებში გაშენდა 1936-1940 წლებში პატრიოტი მეტყევის მიხეილ მურვანიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ამიტომ არის, რომ სურამის მოსახლეობა დიდი სიყვარულით იხსენიებს მას.

ხანდაზმული მეტყევის კარგი ინიციატივა შემდეგში ხაშურის სატყეო მეურნეობამ გააგრძელა, და ათი წლის განმავლობაში 1.000 ჰექტარი წიწვიანი და ფოთლოვანი ტყეები შეემატა სურამის მიდამოებს.

სურამის უღელტეხილის ბუნებრივი ტყეები მდიდარია ფოთლოვანი ჯიშის ხეებით, როგორიც არის წიფელი, წაბლი, მუხა, ნეკერჩხალი, რცხილა და სხვ. ტყის მასივები ჩამორეცხისაგან იცავს ნიადაგს და საჭირო პირობებს ქმნის საავარაკოდ ჩამოსულ მშრომელთა დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის. სამწუხაროდ, ბუნებრივი ტყეები ულმობლად ნადგურდება ადგილობრივი მოსახლეობისაგან.

განსაკუთრებით დიდია ტყის უნებართვო ჭრა ორხევისა და ჭერათხევის აგარაკზე. ტყის დაცვის საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევს ხაშურის რაიონის სატყეო მეურნეობა (უფროსი ა. ბოკუჩავა). არის ფაქტები, რომ მეურნეობის ზოგიერთი მუშაკი ხელს უწყობს ტყის განადგურებას და პირადი შემოსავლის წყაროდ ხდის მას. თვით ხაშურის სატყეო მეურნეობის ცნობით, წელს ტყეების უნებართვო ჭრით მიყენებული ზარალი 64.756 მანეთს შეადგენს. მაგრამ ზარალი გაცილებით მეტია.

ტყის დაცვის საქმეში სათანადო მონაწილეობას არ იღებენ სკოლების მასწავლებლები და მოსწავლეები. ხანდახან პირიქით ხდება. მაგალითად, სოფელ წაღვლის საშუალო სკოლის დირექტორმა გ. გელაშვილმა თვითნებურად მოჭრა 25 ძირი ხე. ამ დანაშაულისათვის იგი დღემდე დაუსჯელია.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც. სოფლების კაკალათხევისა და ცედნის მიდამოებში წინათ იყო მუხნარი, რომელსაც 150-მდე ჰექტარი ფართობი ეკავა. დროთა განმავლობაში ეს მუხნარი მთლიანად გაუნადგურებიათ და ამჟამად მის ადგილას დარჩენილია ბუჩქნარი. ბუჩქნარი რომ შემოღობონ და დაიცვან, რამდენიმე წელიწადში კვლავ აღდგება მუხნარი, მაგრამ ამ საქმეს დღემდე არ გამოუჩნდა გულშემატკივარი. პირიქით, ადგილობრივი მოსახლეობა ძირიანად თხრის ბუჩქებს და საწვავად იყენებს. ბუჩქნარს ანადგურებს სოფლის ნახირიც.

ვ. ბურბენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# საპატიო პრემია

რამდენიმე წელია, რაც ქ. ვარშავაში პოლონურ, ინგლისურ, ესპანურ, გერმანულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე, აგრეთვე ესპერანტოზე, გამოდის საინტერესო ყოველთვიური პოლონური ილუსტრირებული ჟურნალი „პოლონეთი“.

ჟურნალ „პოლონეთის“ გერმანული და რუსული გამოცემის ამა წლის მეექვსე ნომრის ყდაზე გამოქვეყნებულმა კონკურსმა გერმანელ და საბჭოთა მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია (კონკურსის პირობები ასეთი იყო: ვინც პოლონელი მხატვრის ერიკ ლიპინსკის პროექტით შესრულებულ ყდას დააკვირდებოდა, ამოხსნიდა და ჟურნალ „პოლონეთის“ რედაქციაში გაგზავნიდა სწორ პასუხს, მას შეეძლო მონაწილეობა მიეღო ჟურნალის 100 ნომრის გათამაშებაში და მოგების შემთხვევაში უფასოდ მიიღებდა ჟურნალ „პოლონეთს“ ნახევარი წლის განმავლობაში. კონკურსის ვადა იყო 1958 წლის 15 აგვისტომდე).

თბილისში ვარშავიდან მიღებულია ჟურნალ „პოლონეთის“ მეათე ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია ამ კონკურსის შედეგები და ამავე საკითხზე ჟურნალის რედაქტორის სტეფან სვექევსკის წერილი.

როგორც ჟურნალის მეათე ნომერი იუწყება, „პოლონეთის“ რუსული და გერმანული გამოცემის მეექვსე ნომრის ყდაზე გამოქვეყნებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ექვსი ქვეყნიდან: საბჭოთა კავშირიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, რუმინეთიდან და ბულგარეთიდან შესულა 3.085 პასუხი (რამდენიმე ასეული წერილი, რომლებიც კონკურსის ვადის გასვლის შემდეგ მიიღეს, სათვალავში არ არის მიღებული). აქედან სწორი პასუხი გაუგზავნია 1.584-ს (მათ შორის საბჭოთა კავშირიდან 1.300-ს), რომლებსაც სწორად წაუკითხავთ ჟურნალის ყდაზე ორი სიტყვა „პოლშა“ და „პოლენ“ (ე. ი. ჟურნალ „პოლონეთის“ რუსული და გერმანული სახელწოდება).

ამ 1.300 საბჭოთა მკითხველიდან კონკურსის პირობების თანახმად პრემიის გათამაშებაში — ნახევარი წლით ჟურნალ „პოლონეთზე“ ხელისმოწერა მოუგია მხოლოდ ასამდე მკითხველს. საინტერესოა, რომ მათ რიცხვში არიან ქართველი მკითხველები ს. ზედგინიძე — (წითელწყარო), ნ. მგალობლიშვილი (ქ. მოსკოვი), აგრეთვე ქ. თბილისში მცხოვრები გ. ვოიცეხოვსკი და ქ. ბათუმში მცხოვრები ე. სერგეევი.

დ. გველესიანი.



საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე თავის ახალ ლექსს „შვიდი ახალი წელი“ უკითხავს თბილისის ელმავალსაშენებლო ქარხნის გ. ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს.

ფოტო ვლ. ვინზბურგისა.

# შვიდი ახალი წელი

**გალაკტიონ ტაბიძე,**
საქართველოს სახალხო პოეტი.

ამხანაგებო! წვიმათ
უსაშინლესი თალხით
მოსილი იყო წინათ
მიწა, ქართველი ხალხი.

მაგრამ გულითად სალამს
დღემგზნებარე და მწველი
ინახავს შოთას კალამს
მრავალ-მრავალი წელი!

ჩვენ მეგობარი ბევრი
შემოგვაცალა მტრობამ
დაუნდობლობის კევრი...
შეუწყვეტელი წყრომა...

ეპა, მშობლიურ გემის
გზა იყო ძნელზე ძნელი,
იმ დროს იგონებს ჩემი
არც ისე ბევრი წელი.

სუნთქვა წამებულ მხარის
თუ კვნესა იყო მარად
გრიგალისებურ ქარის
რომ გადაიქცა ქნარად.

თუ შავი იყო ქაფი —
მაინც მხარეთა მცველი
მოვარდა სწრაფზე-სწრაფი
ცხრაას ჩვიდმეტი წელი!

დიდი ლენინის სახით
დიად სიმართლის მთქმელი
განვიცადეთ და ვნახეთ
ცხრაას ჩვიდმეტი წელი.

აწ რაც არ უნდა თხარონ
მტერთ საიდუმლო ხვრელი
მიაგნებს იმათ ხაროს
დიდი მშვიდობის წელი!

უკვდავი იყოს მათი
თავდადებული ქროლა,
რომელთათვისაც ხატი
იყო ქვეყნისთვის ბრძოლა.

და დღეს მშობლიურ ალამს
შლის ჩვენი მთა და ველი
უძლვნის მხურვალე სალამს
მრავალთ მრავალი წელი.

წელთა ვეფხვზრივ ნახტომს
არ აქვს თმენა და რიგი...
ვინ მოელოდა ატომს?
საიდან გაჩნდა იგი?

აგერ მომავალ წელთაც
გარს ღელვა არის ვრცელი.
მისდევს — ვით ელდას ელდა —
ერთ წელს მეორე წელი...

ვთქვით —
წიგნთა მრავალთ ზღვა ტომს
მიაქვთ თვისება ტალღის —
მაგრამ ყოველგვარ ატომს
სძლევს ძლიერება ხალხის!

შორეულ გზებზეც ისმის:
მოდი, ძვირფასო, გელი.
ყველას მიუზღავს მის-მისს
შვიდი ახალი წელი!

შორს შრიალია აფრის —
აგე — მიმალულს ბნელში
კაცს — ატომგულის მძაფრის
იარაღი აქვს ხელში.

ის გზა იქცევა ბაღად
უდაბური და ხმელი
გადაიშლება ლაღად
მრავალთ-მრავალი წელი.

თუ არ არსებობს ნანა
და არც სიმშვიდე ჯარის
უეცარია განა
თავდასხმა უეცარი?

დაე, მსოფლიო გახდეს
უგულწრფელესად ქველი...
მას გაეშალოს ტახტად
მრავალთმრავალი წელი.

ასე სახალხოდ რგულით
ნათლით რომ ასე ნათლობ —
გმადლობთ სულით და გულით
ო, გმადლობ, გმადლობ, გმადლობ!

იდიდე კიდით-კიდე
იმ ზღაპრულ ოქრონარევ
დაფნით იდიდე კიდევ,
ჩემო სამშობლო მხარევ!

### გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი საღამო

ორშაბათს, 29 დეკემბერს, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების ორმოცდაათი წლისადმი მიძღვნილი საღამო.

# სპორტის [illegible]

### უნგრელი კალათბურთელები თბილისში

გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქს ეწვივნენ უნგრელი კალათბურთელები, რომლებიც თბილისში ადგილობრივ გუნდებთან გამართავენ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს. სტუმრებს თბილისის რკინიგზის სადგურზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, თაიგულები უძღვნეს.

როგორც ცნობილია, უნგრეთი შესანიშნავი სპორტული ტრადიციის ქვეყანაა. სპორტის ბევრ სახეობასთან ერთად აქ კალათბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობს — კალათბურთს ათეულ-ათასობით ახალგაზრდა ეუფლება, ეწყობა სხვადასხვა ჩემპიონატები, იმართება საერთაშორისო მატჩები.

ჩვენი სტუმრები არიან ბუდაპეშტის „ჩეპელის“ კალათბურთელები, რომლებიც წარმატებით გამოდიან უნგრეთის პირველობის გათამაშებაში. „ჩეპელის“ 4 მოთამაშე უნგრეთის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედის.

დღეს ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართება უნგრეთისა და თბილისის კალათბურთელთა პირველი მატჩი... „ჩეპელის“ წინააღმდეგ გამოვა თბილისის „ბურევესტნიკი“. მომდევნო ორი შეჯიბრება მოეწყობა 29 და 30 დეკემბერს. უნგრელ კალათბურთელებს შეხვდებიან თბილისის „დინამოსა“ და ქალაქის ნაკრები გუნდები.

### მოსკოვის „დინამო“ — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი წყალბურთში

წყალბურთელთა ჩემპიონატის ერთ-ერთი საინტერესო მატჩი იყო მოსკოვის დინამოელთა შეხვედრა კასპიის ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის (ბაქო) გუნდთან. ძნელ ბრძოლაში მოსკოველებმა გაიმარჯვეს 4:3 და თავიანთ აქტივს დაუმატეს კიდევ ორი ქულა, რამაც გადაწყვიტა ოქროს მედლების ბედი.

გადამწყვეტი იყო აგრეთვე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მატჩი თბილისის დინამოელებთან. ორივე კოლექტივი საპრიზო ადგილების პრეტენდენტები იყვნენ. თბილისელმა წყალბურთელებმა უდიდესი მეცადინეობით მოიგეს მატჩი 2:1 და გაუსწრეს მოსკოველებს ერთი ქულით.

გათამაშების დებულებით ორი გუნდი, რომლებიც უკანასკნელ ადგილებს დაიკავებენ, გადიან „ა“ კლასიდან. ოც ტურში ვერც ერთი გამარჯვება ვერ მოიპოვეს თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებმა. ისინი გადავიდნენ „ბ“ კლასში.

### საბჭოთა ჰოკეისტების გამარჯვება

საბჭოთა კავშირში სტუმრად მყოფ ინგლისის შაიბიან ჰოკეისტთა გუნდმა „უემბლი ლაიონსმა“ მოსკოვში გამართა მორიგი საერთაშორისო შეხვედრა. ამჯერად სტუმართა წინააღმდეგ თამაშობდა „კრილია სოვეტოვის“ გუნდი. გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ანგარიშით 7 : 2.

ამრიგად, საბჭოთა სპორტსმენებმა ინგლისელ ჰოკეისტებთან გამართულ სამ მატჩში სამივე მოიგეს.

### [illegible] გაზეთ „თბილისის“ პრიზზე

ავტომოტორბოლა მამაცთა სპორტია. ეს ასპარეზობა სპორტსმენისაგან მოითხოვს მაღალ ნებისყოფას, ამტანობას, სწრაფ ორიენტაციას. ამიტომ ასეთი სახის შეჯიბრება ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს.

ჩვენში ავტორბოლა სპორტის შედარებით ახალი სახეობაა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მოკლე დროში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა თვალსაჩინო წარმატება მოიპოვეს.

ავტომოტოსპორტის შემდგომი განვითარებისა და მაღალი სპორტული შედეგების მოსაპოვებლად დღეს თბილისის სტალინის სახელობის სანაპიროზე გაიმართება ხავზიტკეცილო ავტომოტორბოლა გაზეთ „თბილისის“ პრიზზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს უძლიერესი სპორტსმენები. დისტანცია წარმოადგენს წრეს. გამარჯვება მიეკუთვნება სპორტსმენს, რომელიც მანძის უმოკლეს დროში გაივლის.

### კალათბურთელთა ასპარეზობა

გრძელდება ზამთრის პირველობა კალათბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის. უკანასკნელი შეხვედრებიდან საინტერესო იყო სსრ კავშირის ჩემპიონის რიგის სკვოს-სა და ალმა-ატის „ბურევესტნიკის“ მატჩი. ჩემპიონმა განიცადა დამარცხება ანგარიშით 58 : 64.

### „ბურევესტნიკის“ პირველობაზე

დამთავრდა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების მოჭადრაკეთა კოლექტივების ასპარეზობა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ პირველობაზე.

ჩემპიონობისათვის ბრძოლა ძირითადათ საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოჭადრაკეთა გუნდებს შორის მიმდინარეობდა და ფინალშიც ამ უმაღლესი სასწავლებლების მოჭადრაკეები შეხვდნენ ერთმანეთს.

გაიმარჯვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა ანგარიშით 4 : 2 და პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში იყვნენ თ. ლომაია, გ. კალატოზიშვილი, დ. ჯანოევი, გ. ბუცხრიკიძე და სხვ.

ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი მონაწილეობას მიიღებს უმაღლესი სასწავლებლების მოჭადრაკეთა საკავშირო შეჯიბრებაში, რომელიც მომავალი წლის თებერვალში მოეწყობა მოსკოვში.

### შეხვედრა მოჭადრაკე ქალებთან

ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალები, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატში, ამ დღეებში იყვნენ ნ. გაფრინდაშვილის სამშობლოში — ქ. ზუგდიდში. გამარჯვებულებს აქ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, უძღვნეს საჩუქრები.

# გალაქტიონ ტაბიძე

**შემოქმედების 50 წლისთავის გამო**

გალაქტიონ ტაბიძეს წილად ხვდა იშვიათი ბედნიერება — ქართველ პოეტთაგან ის იყო ერთადერთი მოწმე ოქტომბრის დღეებისა მოსკოვსა და პეტროგრადში. ის „უსმენდა რევოლუციას“ მის პირველწყაროსთან, რათა —

...გამოევლო ჯერ არსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მოეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

ლიტერატურული პარალელები, როგორც წესია, დიდი და რთული მოვლენების მხოლოდ ზოგიერთ მხარეებს მოიცავენ. მაგრამ ისინი ხშირად გვაძლევენ ბიძგს სწორი მიმართულებით აზროვნებისათვის. ჩვენ შემთხვევით როდი გავიხსენეთ ბლოკის სიტყვები („უსმინეთ რევოლუციას!“) — არ შეიძლება არ შევნიშნოთ ნათესაური ნიშნები ამ ორ, ღრმად ეროვნულ და თვითმყოფ პოეტს შორის. ორივემ აღიქვა რევოლუცია, როგორც განახლების სტიქია, ორივე გულისყურით უსმენდა ისტორიის მიწისქვეშა ბიძგებს, ხოლო შემდეგ წრფელი სიხარულით შეხვდა მის ვულკანურ ამოხეთქვას. სიმბოლისტური სკოლის პოეტებმა, მათ გრძნეული მახვილგრძნობიერებით მიაჩიჭეს თავიანთ ლექსებს ახალი ეპოქის მაგნიტური ძალა და მათი სტრიქონები უმალ ათრთოლდნენ მოულოდნელი რიტმული მაჯისცემით, მათი პოეტური სახეები წამსვე განათლდნენ, დაკრისტალდნენ, ასახეს თავიანთ ალმასისებრ წახნაგებში რევოლუციურ გაელვებათა კაშკაში — სროლის ცეცხლი და ღამის კოცონთა ციალი.

ეპოქა იშვა და გაიზარდა
სამოქალაქო ბრძოლების რკალში,
ქვემეხ-ტყვიამფრქვევთ კორიანტელში
და ზარბაზნების მედგარ გრიალში.
მოგონებანო,
ხან სავსე სპაზმით,
გრძნობას რომ ვეღარ აუთავდებით,
ხან აღგზნებულნო ენთუზიაზმით,
გმირული რწმენით და თავდადებით!

ამ სტრიქონებში „შურისგების“ რიტმი და „თორმეტნი“-ს სულისკვეთება იგრძნობა. ეს ლექსი გვიან არის დაწერილი, მაგრამ მასში რეტროსპექტიულად მაინც გადმოცემულია რევოლუციის ის აღქმა, რომელიც დამახასიათებელი იყო იმ პოეტთათვის, ყურთასმენას რომ ძაბავდნენ „რევოლუციის მუსიკის“ შესასმენად.

ანდა დეტალების რაოდენი სიმახვილეა გალაქტიონ ტაბიძის „ჯონ რიდში“, სადაც ყოველი სახე გაოცებთ თავისი პოეტური კონკრეტულობით და ამავე დროს აღწევს ჭეშმარიტად სიმბოლიურ განზოგადებათა სიმაღლეს! დარღვეულია ლექსის წონაზომიერი ჟღერადობა, ყველა მოქალაქეობრივი უფლება აქვს მინიჭებული ახალ პოეტურ ენას:

დეპეშა!
დეპეშა!
დეპეშა!
რევოლუცია!
რევოლუცია!
ამბავი!
პეტროგრადიდან!
კრემლი იდუმალ
იწყებს მზადებას.
მოსკოვი შფოთავს —
რომ გაუთენებს
საკადრის დღეებს
კაცობრიობას.

სახეები-სიმბოლოები, რომლებიც მისცურავენ წრეგადასული თეთრი ლექსის ბობოქარი ზღვით, მეზობლობენ მიწიერ, თითქოს ცხოვრებიდან ამოგლეჯილ მახვილ პოეტურ დეტალებთან. პოეტი ხედავს „მოვარდნილ დღეთა რკინებად კვეთას“ და აყეფებულ „მოკაკანე ტყვიის მფრქვეველს“, „ცეცხლის ოქროდან გაფთრებულად მქროლავ ტყვიას“. უცებ „გაქვავებულ ქარს“ რომ დამსგავსებია, და „ქალაქის გახელილ თვალებს“ ანდა „სართულებს“, რომლებიც „ყეფენ, როგორც ძაღლები“. მაგრამ, კიდევ უფრო ხშირად ფანტასტიურ მეტაფორას გზას გადაუღობავენ უკონკრეტესი, ხელშესახები დეტალები.

ლექსის გულისძგერა, მისი მაჯისცემა ისე ხშირდება, რომ ჩვენ გვჯერა პოეტის მიერ დანახული სურათის რეალობა, გვჯერა, რომ „მოსკოვი გუგუნებდა როგორც მუხა — და პირიდან აფრქვევდა ტყვიებს, როგორც რკოებს“, რომ „ჩინჩარივით ისუსხებოდა ღამე“, რომელიც „ახლა დაჯდა სადგურთან და სწევს ყალიონს“.

ჩვენ იმიტომ შევჩერდით ასე დაწვრილებით გალაქტიონის „ჯონ რიდზე“, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორ გააფართოვა რევოლუციამ არა მარტო შინაგანი სამყარო პოეტისა, შინაარსი მისი შემოქმედებისა, არამედ როგორ განაახლა და გადაახალისა მან მისი სიტყვა, მისი სტილი, მისი პოეტიკა. ძნელია, ერთი შეხედვით, იცნო ამ პოემაში ნატიფი სიმბოლისტური კრებულის „არტისტული ყვავილების“ ავტორი, ისევე როგორც ძნელი იყო „თორმეტში“ ცნობა ავტორისა წიგნის „ლექსები მშვენიერ ბანოვანზე“. ნუ გავიგებთ ამას ისე, თითქოს არ არის არავითარი კავშირი გალაქტიონ ტაბიძის (და ბლოკისაც, რა თქმა უნდა) ძველ და ახალ ნაწარმოებებს შორის. კავშირი არის და მეტად ღრმაც. მაგრამ ათმა დღემ, **რომელმაც, ჯონ რიდის თქმით, შესძრა სამყარო, შესძრა გალაქტიონ ტაბიძის პოეტური სამყაროც.** ვერ ვიტყვით, რომ „ჯონ რიდის“ პოეტიკა გახდა ტიპიური გალაქტიონისათვის. მან შემდგომ აირჩია სხვა გზა, მიუსადაგა ახალ თემებს თავისი წმინდა ლირიკული, რომანტიკული პოეტური მანერა

მთავარი ძარღვი პოეზიის
ზომაა, რითმა;
მისით მარადის გაიელვოს
შუქმა ბედითმა.
მაინც იმაზე უმთავრესი
სხვა დედაარსი
არის მშვენიერ პოეზიის
იდეა, აზრი.

ეს თავისი პოეტური კრედო გალაქტიონს დეკლარირებული აქვს ლირიკულ-ფილოსოფიურ პოემაში „საუბარი ლირიკის შესახებ“. აქ ზუსტად არის განსაზღვრული პოეტის ახალი შემოქმედებითი მიზანდასახულობა, და იგი, ამ საფუძველზე, ჯერ კიდევ ოციან წლებში ეძებს ახალ პოეტურ ხერხებს, რომლებიც მისცემდნენ მას ახალი **ეპოქისადმი, რევოლუციური საქართველოსადმი** თავისი დამოკიდებულების უშუალო, პირდაპირი დეკლარირების საშუალებას. ლირიკა ხომ ყოველთვის და ყველგან პოეტის გრძნობათა, ფიქრთა, განწყობილებათა დეკლარაციაა. და თუ პოეტი შეიგრძნობს დღეს არა მარტო სატრფოს გულისცემას, არამედ ეპოქის სუნთქვასაც, თუ იგი ტკბება დღეს არა მარტო „არტისტული ყვავილებით“, არამედ „ქალაქ-ბაღითაც“, თუ ის ყურს უგდებს არა მარტო საღამოს ნიავის შარიშურს, არამედ რევოლუციის მუსიკასაც, იგი ვალდებულია — თუ მას სურს დარჩეს ჭეშმარიტ ლირიკოსად — გამოხატოს თავისი ახალი ფიქრები და გრძნობები ლირიკულ აღსარებაში, ლირიკულ მონოლოგში.

ასე დაიბადა გალაქტიონის ლექსები და პოეტური რკალები — „მსოფლიო ორკესტრი“, „რევოლუციური საქართველო“, „ეპოქა“ — ლექსების შესანიშნავი წიგნები, რომელთა ლირიკულ გმირს არ ეშინია არც რევოლუციური პათეტიკისა, არც ორატორული პოზისა, არც სახოტბო ალტაცებისა, არც პირდაპირი მოქალაქეობრივი დეკლარაციისა, ვინაიდან მისი პათოსი გულწრფელია, პოზა — ორგანულია, აღტაცება — გულიდან ამომხდარი, ხოლო დეკლარაცია — როდია დეკლარაციული. პოეტის ასეთი პოზიცია, რაც მოიცავს არა მარტო მის იდეათა, მისი მსოფლმხედველობის სამყაროს, არამედ მისი გრძნობების, მისი ნების, მისი მსოფლშეგრძნების სფეროსაც, ერთხელ და სამუდამოდ აზღვევს მას ყველაზე დიდ საშიშროებისაგან, რაც კი ხელოვნებას შეიძლება მოელოდეს — სიყალბისაგან, და აძლევს მას, ამასთან ერთად, საშუალებას თითქმის უსაზღვროდ გააფართოოს თავის პოეტურ ინტერესთა წრე, მოათავსოს მასში ყველაფერი, რაც კი მას მართლაც აინტერესებს, აღელვებს, ახარებს ან აწუხებს — მტირალი ტირიფი მიუსეს საფლავზე და საროტაციო მანქანის ხმაური, რიწის ზურმუხტოვანი ზვირთები და ტრაქტორთა გუგუნი, პაციფისტის პირმოთნეობა და „ინტერნაციონალის“ დაქუხება. ამაშია პოეტის ძალა, და გალაქტიონი არ მალავს, რომ ეს ძალა მას შთაბერა ოქტომბრის ქარცეცხლმა:

შენ, ჩემო ხალხო! სიყვარულით
გამომარჩიე.
რადგან დავხატე ძლიერება შენთა
იმედთა.
ის ნებისყოფა, რომლის ძალით
მტარვალებს სძლიე,
რომ ოქტომბერში პირმშო ვიყავ
ოქტომბრის დღეთა.
გულით ვიგრძენი მე იმჟამად
ჩაუქრობელი
წკრიალა ხმები ჩემი ჩანგის, გამშუქი
თალხის,
როცა მგზნებარე სიმთა თრთოლვით
ახლის მშობელი
აღტაცებათა მზით გამთბარი
ხაროდა ხალხი.

მეტად განსხვავებული პოეტები არიან გალაქტიონ ტაბიძე და მაიაკოვსკი, მაგრამ მათ ანათესავებთ მათი პოეზიის ლირიკული გმირის მიერ მოპოვებული **უფლება** — თავისუფლად, ბუნებრივად, ლაღად ილაპარაკოს ყველაფერზე, რითაც კი ის ცხოვრობს, რაც მას სწვავს და დაგავს, ახარებს და გულს უკლავს, აიმედებს და აღაფრთოვანებს, ილაპარაკოს ისე, რომ არ ეშინოდეს მკითხველის ეჭვისა და უნდობლობისა.

ასეთია გალაქტიონ ტაბიძის გზა — გზა მილიონიანი მკითხველის გულისაკენ. პოეტს, რომელმაც უმღერა თავის ლექსებში ეფემერულ მერის და მთაწმინდის მთვარეს, ალვებს თოვლში და გურიის მთებს, პოეტს, რომელმაც პირველმა მოიტანა საქართველოში „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“, მისი რევოლუციური განახლებისა, პოეტს, რომლის მუზამ ბევრი იხეტიალა ომისშემდგომი ევროპის გზებზე და ნათლად განჭვრიტა ბურჟუაზიული სამყაროს მყვირალა კონტრასტები, პოეტს, რომელიც ბარბიუსთან ერთად გამოვიდა ანტიფაშისტურ კონგრესზე პარიზში, ხოლო სამამულო ომის წლებში მიმართა ხალხს ისეთივე შემართებითა და მგზნებარებით, როგორც რევოლუციის დღეებში, ასეთ პოეტს ჰქონდა უფლება ეთქვა თავის თავზე, თავის სიმღერაზე:

ზოგს ოქრომკედით მონაქსოვარი
სურათი რამე, კარგზე მგლოვარი,
ზოგს ვარდი, წიგნში ჩანატოვარი —
ყველას რამე აქვს სახსოვარი...
. . . . . . . . .
ბარათი, სისხლის ცრემლნატბოვარი,
ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,
საყურე, ტკბილის ჩრდილის
მთხოვარი —
ყველას რამე აქვს სახსოვარი,
თმა, როგორც განძი ძნელსაშოვარი,
წიგნი, რამ, ომით მონაპოვარი,
საფერფლე, მამის დანატოვარი —
ყველას რამე აქვს სახსოვარი.
სამშობლოვ, მარად მსახოვარი,
ჰა, გულიც, შენი თანამგზოვარი,
ჰა, ჩემი წიგნი სწორუპოვარი —
ყველას რამე აქვს სახსოვარი.

ნახევარი საუკუნეა, რაც გალაქტიონ ტაბიძე უმწიკვლოდ ემსახურება ქართველ ხალხს და დღითიდღე ამდიდრებს ქართული პოეზიის უმდიდრეს საგანძურს. ცხრაას რვა წლის მაისობაზე დაიქუხა გალაქტიონის პირველმა პოეტურმა სიტყვამ და რა დიდი, რთული, შემოქმედებითი ძიებით აღსავსე გზა განვლო მას შემდეგ პოეტმა! მას — ქართული კლასიკური პოეზიის ნიადაგში ფესვგამდგარ მგოსანს, აკაკი წერეთლის სულიერ მოწაფეს — წილად ხვდა საპატიო მისია: ქართული ლექსის ჯანსაღ რტოზე დაემყნა ახალი საუკუნის პოეტური კულტურა. თავის პირველსავე საუკეთესო ლექსებით გალაქტიონ ტაბიძე მოგვევლინა როგორც უაღრესად ეროვნული და ამავე დროს მსოფლიო პოეტურ კულტურას ორგანულადნაზიარები ხელოვანი. ჩვენ დავინახეთ, თუ რა საგულისხმო ფურცლები გადაიშალა გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ; და კიდევ უფრო სასიხარულოა, რომ ჭაღარამოსილ ოსტატს დღესაც არა აქვს დაკარგული ახალგაზრდული შემართება და რომ მის საუკეთესო ქმნილებებს ჩვენ თამამად შეგვიძლია ჩავუყენოთ თავში მის მიერ ბოლო ხანს შექმნილი შედევრები ქართული ლირიკისა — „იდიდე, მშვიდობავ“, „ნიკორწმინდა“, „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“, „იმერის დაბრუნება“ და მრავალი სხვა.

ვუსურვოთ ქართველი ხალხის საყვარელ მგოსანს კიდევ არაერთი ძვირფასი ქმნილებით გაემდიდრებინოს მშობლიური პოეზია!

გიორგი მარგველაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ეს იყო ორმოცდაათი წლის წინათ*

# მესინის გმირები

**ი. ზოლინი,**
კონტრ-ადმირალი.

ორმოცდაათი წლის წინათ—1908 წლის 28 დეკემბერს — იტალიას თავს დაატყდა სტიქიური უბედურება. კუნძულ სიცილიაზე და ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში, კალაბრიაში, უძლიერესი მიწისძვრა მოხდა. დაზარალდა ოცზე მეტი ქალაქი. სიცილიაზე მესინა, კალაბრიაში რეჯიო მთლიანად დაინგრა.

მაქსიმ გორკი წიგნში „მიწისძვრა კალაბრიასა და სიცილიაში“ წერდა:

„...პირველი კრუნჩხვა თითქმის ათ წამს გრძელდებოდა: კარ-ფანჯრის ჩარჩოების ტკაცუნმა და ჭრიალმა, მინის წკარუნმა, ჩამოვარდნილი კიბეების გრიალმა გააღვიძა მძინარენი... თითქოს ქაღალდისაო, შუაზე ირღვეოდა ჭერი, ცვივოდა ბაოქაში — ყველგან გაისმოდა ხის ჭრიალი და ტკაცუნი, ცვიოდა ქვა, ჩხრიალით ინგრეოდა კედლები, მოისმოდა ბავშვების ტირილი, შიშის გოდება, ტირილით გამოწვეული კვნესა — ადამიანები დარბოდნენ წყვდიადში, ერთმანეთს ეხლებოდნენ და ვერ პოულობდნენ გამოსავალს ამ ჯოჯოხეთიდან... გონებადაკარგული ადამიანები ხელში იტაცებდნენ ბავშვებს. ყვირილით ვარდებოდნენ ზევიდან, რომ მიწა ეპოვნათ, იმტვრევდნენ ძვლებს, იტეხდნენ თავებს...“.

გაზეთების ცნობებით, მიწისძვრისაგან დაიღუპა ორასი ათასამდე კაცი.

მიწისქვეშა დარტყმების დამატებით, რომლებმაც დედამიწის ქერქი შეარყიეს, ქალაქის ნანგრევებს საშინელი ძალით დაატყდა თავს მესინის ყურეში გაჩენილი უზარმაზარი ტალღა.

მესინის დოკში მდგომი რუსეთის გემის „პროდუგოლის“ მეზღვაურთა მოწმობით, „ზღვა კედელივით აღიმართა და ყოველივე ცოცხალი ქვეშ მოიქცია“.

პირველი დეპეშები მიწისძვრის შესახებ იუწყებოდნენ, რომ კატასტროფის შემდეგ ქალაქი რამდენიმე საათის განმავლობაში სრულიად უმწეოდ რჩებოდა, რადგან ნანგრევებში ჩაიმარხა მთავრობის დაწესებულებები, გაწყვეტილი იყო კავშირგაბმულობა.

ამ დღეებში ხმელთაშუა ზღვაში სასწავლად იმყოფებოდა რუსეთის სამხედრო ხომალდების რაზმი სახაზო გემების „ცესარევიჩის“, „სლავას“, კრეისერების „ადმირალ მაკაროვისა“ და „ბოგატირის“ შემადგენლობით. იტალიის მთავრობასთან შეთანხმებით რუსეთის ხომალდებს მუდმივ ბაზად ჰქონდათ ნავსადგური აუგუსტა კუნძულ სიცილიაზე, მესინიდან 80 მილის დაშორებით. გარდა ამისა, პალერმოში იდგნენ რუსეთის საკანონერო ნავები „კორეეცი“ და „გილიაკი“, რომლებიც პირეიში მიდიოდნენ.

5 საათსა და 18 წუთზე ხომალდების მორიგეებმა შენიშნეს ზღვის დონის უჩვეულო ცვლილება. წყალი თითქოს უკუიქცა ნაპირიდან. სრული შტილის მიუხედავად, ღუზაზე მდგომი მძიმე ჯავშნოსნები ზღვისკენ მიაბრუნა.

დილით ხომალდებმა, როგორც ჩვეულებრივ, ღუზა აუშვეს და ზღვაში გავიდნენ პრაქტიკული სროლის საწარმოებლად. მხოლოდ გვიან საღამოს, ნავსადგურში რომ დაბრუნდნენ, რაზმის სარდალმა კონტრ-ადმირალმა ლიტვინოვმა მიიღო პირველი ცნობები მესინაში მომხდარი კატასტროფის შესახებ. ადგილობრივი ხელისუფალნი სთხოვდნენ მას დახმარება გაეწია დაზარალებულ მცხოვრებთათვის.

კონტრ - ადმირალმა ლიტვინოვმა ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ მომზადებულიყვნენ წასასვლელად. მესინაში მიდიოდნენ „ცესარევიჩი“, „სლავა“, „ადმირალი მაკაროვი“. კრეისერი „ბოგატირი“, რომლის ეკიპაჟიც უდიდეს სურვილს გამოთქვამდა წასულიყო მესინაში, ადგილზე რჩებოდა, რადგან სათბობის მეტად შეზღუდული მარაგი ჰქონდა.

მიწისძვრის შესახებ ცნობის მიღებიდან სამნახევარი საათის შემდეგ ხომალდები გზას გაუდგნენ. ადმირალმა ბრძანება გასცა ევლოთ სრული სისწრაფით და იმედი ჰქონდა, რომ მესინაში დილას ჩავიდოდნენ. უკვე გზაში პირადი შემადგენლობა გაძლიერებით ემზადებოდა მაშველი სამუშაოებისათვის.

შვიდ საათზე რაზმი მესინის რეიდზე მივიდა. „ჯერ კიდევ შორიდან, — წერს თავის მოხსენებაში რაზმის სარდალი,— თვალწინ გადაგვეშალა შემაძრწუნებელი სურათი: აყვავებული დიდი ქალაქისაგან, სადაც 160 ათასზე მეტი მცხოვრები იყო, დარჩენილიყო მხოლოდ ნანგრევების გროვა“.

„სლავა“ და „ცესარევიჩი“ რეიდზე დადგნენ, „ადმირალ მაკაროვს“ ებრძანა შიდა ნავსაყუდელში შესულიყო. რუსეთის ხომალდებთან თითქმის ერთდროულად სირაკუზიდან მოვიდა ინგლისის კრეისერი „სეტლეი“.

როცა რუსი მეზღვაურები ნაპირზე გადავიდნენ, თვალწინ საშინელი სურათი წარმოუდგათ: სანაპიროებზე შეკრებილიყო შიშისაგან გონებადაკარგული რამდენიმე ათასი მცხოვრები — მამაკაცი, ქალი, ბავშვი. ყველანი საჭმელსა და წყალს თხოულობდნენ. ქალაქის წყალსადენის ქსელი მწყობრიდან იყო გამოყვანილი, და ადამიანებს წყურვილი სტანჯავდა. რუსეთის ხომალდებიდან ნაპირზე მიიტანეს და არიგებდნენ პურს, წყალს, კონსერვებს, შემდეგ ცხელ საჭმელსა და ჩაის. ექიმები დაუყოვნებლივ შეუდგნენ სამედიცინო დახმარების გაწევას — მოაწყეს შესახვევი პუნქტები, მძიმედ დაჭრილებს კი კრეისერზე გზავნიდნენ.

ჯერ კიდევ გზაში ხომალდებზე შეიქმნა მაშველი ჯგუფები გარდემარინებისა და ოფიცრების მეთაურობით. ნაპირზე გადაყვანილ იქნა ეკიპაჟების შემადგენლობის ნახევარი. ინსტრუმენტებით შეიარაღებული მეზღვაურები დანგრეულ ქალაქს მოედვნენ. გარდემარინი პ., რომელიც ერთ ჯგუფს ხელმძღვანელობდა, წერილში ამბობს: „პარკთან შევხვდით იტალიელს, რომელიც გვეხვეწებოდა გავყოლოდით. მივადექით სახლის ნანგრევებს... ჩვენმა თანამგზავრმა დაიძახა. საიდანღაც სიღრმიდან გაისმა საშინელი „უ-უ-უ“. დაუყოვნებლივ შევუდექით გათხრას. ორი საათის დამქანცველი მუშაობის შემდეგ ამოვიყვანეთ პატარა ბავშვი. იგი იტალიელს გადავეცით. დღის ბოლოსათვის ამოვიყვანეთ კიდევ ერთი კაცი. იმ დღეს ჩვენი რაზმისა და ინგლისის კრეისერის რაზმის შეერთებული ღონისძიებებით ნანგრევებიდან ამოყვანილ იქნა 500-ზე მეტი კაცი“. 400 გადარჩენილი კრეისერ „ადმირალ მაკაროვზე“ გაიგზავნა. ადმირალმა უბრძანა კრეისერის მეთაურს დაუყოვნებლივ წასულიყო ნეაპოლში, ჩაებარებინა იქ დაჭრილები და უკანვე დაბრუნებულიყო მესინაში.

დაზარალებულთა გადარჩენა არ წყდებოდა არც დღისით, არც ღამით. მუშაობა დაკავშირებული იყო სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებასთან, რადგან შენობებთან, რომელთა ქვეშაც ნანგრევებში მოყოლილნი იმყოფებოდნენ, საშიში იყო მისვლა. კედლებისა და სახურავების ნარჩენები შეიძლებოდა ჩამონგრეულიყო. ასე ჩამოენგრა ზედ შენობა ინჟინერ-მექანიკოსის ფედოროვის ჯგუფს „ცესარევიჩიდან“. იმ მომენტში, როცა თვითონ იგი დანგრეულ სახლში ჩავიდა და ნანგრევებიდან ათავისუფლებდა ერთ-ერთ ჩამარხულს, მოხდა მიწისქვეშა ბიძგი. სახლი საბოლოოდ დაინგრა და ქვეშ მოიყოლა ოფიცერი. იგი ამოიყვანეს ზემოთ დარჩენილმა მატროსებმა.

ერთ-ერთ დანგრეულ შენობაში რუსმა მეზღვაურებმა ნანგრევებიდან ამოიღეს იტალიის ბანკის სალარო, რომელშიც იყო 25 მილიონი ლირა ოქროთი და ფასიანი



...ექვს დღეს თავდადებულად მუშაობდნენ რუსი მეზღვაურები.

* * *

ქაღალდები. „ადმირალ მაკაროვის“ მეზღვაურების ბადრაგით სალარო გადაიტანეს ნავსადგურში მოსულ იტალიის ჯავშნოსანზე.

მესინის მცხოვრებთა გადარჩენისას მეზღვაურები დიდ ჰუმანიზმსა და მამაცობას იჩენდნენ. გორკის თავის წიგნში მოჰყავს სიტყვები იტალიელი ოფიცრისა, რომელიც მესინაში მომხდარ კატასტროფაში მოჰყვა. იგი ამბობს: „სიტყვები არ მყოფნის, რომ გიამბოთ, რა თავდადებით მუშაობდნენ რუსი მატროსები! სადაც კი ყველაზე საშიში მდგომარეობა იყო, სადაც წასვლას ვერავინ ვერ ბედავდა, ისინი მიდიოდნენ და მშვიდად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. ჩვენ, იტალიელები, გაგვაოცა იმან, რომ მათ ყველაფერი აღმოაჩნდათ: ნაჯახებიც, წერაქვებიც, თოკებიც და ტილოს ხელთათმანებიც კი, ჯარისკაცებს ხელები რომ არ დაზიანებოდათ და ავადმყოფობა არ გადასდებოდათ“.

დღისით, როცა ხომალდებზე დაბრუნების დრო დგებოდა, მატროსები სთხოვდნენ ოფიცრებს ნება მიეცათ მათთვის განეგრძოთ მუშაობა.

მომდევნო დღეებში დაზარალებულთა გადარჩენაში მონაწილეობდნენ კრეისერ „ბოგატირის“, საკანონერო ნავების „კორეეცისა“ და „გილიაკის“ ეკიპაჟებიც. მესამე-მეოთხე დღეს გამოჩნდნენ ფრანგებისა და გერმანელების ხომალდები.

ექვს დღეს თავდადებულად მუშაობდნენ რუსი მეზღვაურები. ისინი მესინაში პირველნი მივიდნენ და იქიდან უკანასკნელნი წავიდნენ, როცა იტალიელ ხელისუფალთ უკვე საკმაო რაოდენობით ჰქონდათ ტრანსპორტები, ჰყავდათ სამხედრო ნაწილები, სამედიცინო პერსონალი, რომ თავიანთი ძალებით გაერთმიათ თავი საქმისათვის. ექვს დღე-ღამეში რუსმა მეზღვაურებმა ნანგრევებიდან ამოიყვანეს და სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს 2 ათას დაზარალებულს და 1.800 კაცის ევაკუაცია მოახდინეს რუსეთის ხომალდებით.

რუს მეზღვაურთა ჰუმანიზმის ამბავი მთელ იტალიას მოედო. გაზეთების ფურცლები სავსე იყო ცნობებით მათი გმირობის შესახებ. კრეისერ „ადმირალ მაკაროვის“ მეზღვაურები, რომლებმაც დაზარალებულნი ნეაპოლში ჩაიყვანეს, ამბობდნენ: „ქუჩებში მშვიდად გავლა არ შეიძლებოდა, იმიტომ რომ ყველა შემხვედრი თავს გვიკრავდა და შემოგვძახოდა: „ვივა რუსო“!. არსად არ უნდოდათ ჩვენგან ფული აეღოთ“.

სტეფანის სააგენტომ გაავრცელა დეპეშა, რომელშიც ნათქვამი იყო: „რუსეთის ესკადრის ქცევამ მთელი იტალიის აღტაცება გამოიწვია. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ რაიმე უფრო გმირული, ვიდრე რუს მატროსთა და ოფიცერთა მამაცური ქცევა, და იგი კიდევ უფრო ბრწყინვალე ხდებოდა მათი გულითადი უბრალოების მეოხებით. ყოველივე ამან ისე გაზარდა იტალიის სიმპათიები რუსეთისადმი, რომ ამაზე შეიძლება ლაპარაკი, როგორც ნამდვილ პოლიტიკურ მოვლენაზე. მთელი ჩვენი ქვეყანა გამსჭვალულია ღრმა მადლობისა და აღტაცების გრძნობით“.

მილანის ობსერვატორიის დირექტორმა პროფესორმა რიზომ, რომელიც ხედავდა რუს მეზღვაურთა მუშაობას, პრესაში განაცხადა, რომ „იტალია ვერასოდეს ვერ გადაუხდის ამას რუსეთს“. აღტაცება რუს მეზღვაურთა ჰუმანიზმისა და სიმამაცის გამო, რაც მათ მაშველ სამუშაოთა დროს გამოიჩინეს, ოფიციალურად გამოთქვეს იტალიის მეფემ, საზღვაო მინისტრმა, ადმირალებმა გრეჩემ და მორენომ, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ მაშველ სამუშაოებს მესინაში. ისინი წერდნენ: „ჩვენი ქვეყანა, კერძოდ მისი ფლოტი, არასოდეს არ დაივიწყებს მამაცობასა და თავდადებას, რაც რუსმა მეზღვაურებმა გამოიჩინეს იმ ადგილას, სადაც ჩვენ თავს დაგვატყდა კატასტროფა“.

რუს მეზღვაურთა გმირობა არც მესინის მოსახლეობამ დაივიწყა. ქალაქში აგებულია ძეგლი. მოქანდაკე პიეტრო კუფერლემ რუსი მეზღვაურები გამოძერწა, ნანგრევებში რომ მუშაობენ. მეზღვაურთა საჩუქრად ჩამოასხეს აგრეთვე სამახსოვრო ოქროს მედალი, რომელზეც გამოსახულია რუსეთის ხომალდების სილუეტები წარწერით: **„მესინა — მამაც რუს მეზღვაურებს“.**

მედლის მისაღებად იტალიის ხელისუფლებმა მიიწვიეს რუსეთის რომელიმე სამხედრო ხომალდი. ეს პატივი წილად ხვდა კრეისერ „ავრორას“. 1911 წლის მარტში „ავრორა“ მესინაში ჩავიდა. ისეთი გარემოება შეიქმნა, რომ ამ ხომალდსაც მოუხდა დახმარებოდა მესინელებს. როცა იგი ნავსადგურში იდგა, ცეცხლი გაუჩნდა კინოთეატრის შენობას სანაპიროზე. კრეისერის მეხანძრეთა პარტიამ და 150 მატროსმა მონაწილეობა მიიღო ხანძრის ჩაქრობაში.

საზეიმო ვითარებაში ქალაქის დელეგაციამ კრეისერის სარდალს გადასცა სამახსოვრო მედალი და ადრესები ყველა ხომალდისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ მაშველ სამუშაოებში. ადრესებში ნათქვამი იყო:

„თქვენ, კეთილშობილი ქვეყნის დიდსულოვან შვილებს, რომელთა გმირობა ისტორიაში შევა, რომელნიც პირველნი მიეშველეთ იმ მრავალ ადამიანს, ვისაც სიკვდილი მოელოდა დედამიწის სტიქიონის გააფთრებისაგან, მესინელები, რომლებმაც გადაიტანეს 1908 წლის 28 დეკემბრის უბედურება, გიძღვნიან ამ სამახსოვრო საჩუქარს, რომელიც ვერ გამოხატავს უსაზღვრო მადლობას, რითაც ალსავსეა ჩვენი გული.

თქვენი სახელები მომავალში შევა, როგორც უაღრესად მაღალი და წმინდა ჰუმანურობის დაუვიწყარი მკაფიო მაგალითი“.

* * *

მას შემდეგ ორმოცდაათი წელი გავიდა. შრომისმოყვარე იტალიელი ხალხის ღონისძიებათა მეოხებით მესინა ნანგრევებიდან აღდგა. ამჟამად ამ ქალაქში 200 ათასზე მეტი მცხოვრებია.

საბჭოთა ხალხი დღეს სიამაყით იგონებს თავის თანამემამულეთა გმირობას, რომლებმაც ასეთი კაცთმოყვარეობა გამოიჩინეს გაჭირვებაში ჩავარდნილთადმი.

მაღალი ჰუმანიზმი ქცევის ნორმაა საბჭოთა ადამიანებისათვის. საბჭოთა ადამიანები, რომლებიც პარტიის მიერ აღზრდილნი არიან მარქსიზმ-ლენინიზმის მაღალი იდეალებით, მუდამ ეშველებიან გაჭირვებაში ჩავარდნილთ. ჩვენ გვახსოვს დირიჟაბლ „იტალიის“ ეკიპაჟის ავარია, რაც მოხდა 1928 წელს ჩრდილოეთ პოლუსის მიღწევის ცდის დროს. საბჭოთა მთავრობამ ეკიპაჟის საძებნელად გამოჰყო ყინულმჭრელები „მალიგინი“, „კრასინი“, გაგზავნა თვითმფრინავები. დირიჟაბლის ეკიპაჟის ნაწილი გადარჩენილ იქნა. ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ სხვებიც მოენახათ.

ამ ერთი წლის წინათ ანტარქტიკის ყინულებში ჩაიჭედა იაპონიის სამეცნიერო გემი „სოია“. რუსეთის დიზელ-ელექტრომავალმა „ობმა“ ათასი მილით გადაუხვია თავის კურსს, წავიდა გაჭირვებაში ჩავარდნილთა დასახმარებლად და გაათავისუფლა „სოია“ ყინულეთის ტყვეობიდან.

ამ ცოტა ხნის წინათ მთელი მსოფლიოს აღტაცება გამოიწვიეს საბჭოთა მფრინავებმა, რომლებმაც გადაარჩინეს ბელგიის ანტარქტიკული ექსპედიციის მონაწილეთა ჯგუფი.

წარსულში ჩვენი თანამემამულეების მამაცურ ქცევას ემატება ჩვენი დროის კიდევ უფრო ჰუმანური საქმეები.

**ინგლისელები ბრწყინვალედ მუშაობდნენ, ისევე როგორც იტალიელები, მაგრამ არ შეიძლებოდა მათი შედარება რუსებთან, რომლებიც გმირობითა და სიმარჯვით განცვიფრებას იწვევდნენ...**

ინგლისის გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“.

# ყოველი მხრიდან

## ორი სისტემა, ორი ბიუჯეტი

**დელი,** 26 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის შედეგები ინდოეთის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია. თვალსაჩინო ადგილას, დიდი სათაურებით გაზეთები ბეჭდავენ სესიის მუშაობის ანგარიშს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა კავშირის 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს განცხადებას.

სსრ კავშირის 1959 წლის ბიუჯეტისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიაში გაზეთი „ტაიმს ოფ ინდისი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ისახავს ამოცანას დაეწიოს შეერთებულ შტატებს სამრეწველო წარმოების დონის მხრივ, „სსრ კავშირის 1959 წლის ბიუჯეტი, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — გადამწყვეტი დასაწყისია ამ მიზნის მიღწევის გზაზე“.

გაზეთი „ბომბეი ქრონიკლი“, ადარებს რა საბჭოთა კავშირის 1959 წლის ბიუჯეტს ამერიკის შეერთებული შტატების 1959-1960 საფინანსო წლების ბიუჯეტს, ხაზგასმით აღნიშნავს მათ ძირეულ განსხვავებას და წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტი ითვალისწინებს კიდევ უფრო დიდ სამხედრო ხარჯებს, მაშინ როცა სსრ კავშირის ბიუჯეტი ითვალისწინებს ხარჯების გადიდებას სახალხო განათლებისათვის. ეს, წერს გაზეთი, ამ ქვეყნების სხვადასხვა ეკონომიური სისტემების მკაფიო მაჩვენებელია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამხ. ა. ა. გრომიკოს განცხადებისათვის გაკეთებულ სათაურში გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „თერმოატომგულის იარაღის გამოცდის სამუდამოდ აკრძალვა განიარაღების განუყოფელი ნაწილია“.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შეიქმნა ახალი ლოკომოტივი

**პეკინი,** 27 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, დალნის ორთქლმავალვაგონსაშენებელმა ქარხანამ გამოუშვა ახალი სამამულო ლოკომოტივი „ხუნცი-150“. ახალი ლოკომოტივის წარმოებაზე იხარჯება 28,3 პროცენტით ნაკლები ლითონი და 30 პროცენტით ნაკლები დრო „ხეპინ-157“ ლოკომოტივთან შედარებით, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო ლოკომოტივად ითვლებოდა ჩინეთში, ხოლო მისი წევის ძალა და სიჩქარე შესაბამისად 7 და 12 პროცენტით მეტია.

1959 წელს დაიწყება ლოკომოტივ „ხუნცი-150“-ის სერიული წარმოება.

## ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებანი

**ჰანოი,** 26 დეკემბერი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა 22 დეკემბერს სამხრეთ ვიეტნამის პრეზიდენტს ნგო დინ დიემს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც წამოაყენა მთელი რიგი ახალი კონსტრუქციული წინადადებანი ვიეტნამის ორ ნაწილს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის მიზნით.

ამ ნოტაში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა პრეს-კონფერენციაზე ვიეტნამელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კვლავ მიმართა წინადადებით სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებს მოაწყონ სულ უახლოეს დროში ორივე მხარის კომპეტენტურ წარმომადგენელთა შეხვედრა იმისათვის, რომ განიხილონ და მიაღწიონ შეთანხმებას შემდეგ საკითხებზე:

1. სამხედრო დარგში არც სამხრეთი ვიეტნამი, არც ჩრდილოეთი ვიეტნამი არ მიემხრობიან არც ერთ სამხედრო ბლოკს, არ გამოიყენებენ უცხოეთის სამხედრო პერსონალს თავიანთ არმიებში, არ შექმნიან ახალ ან არ გააფართოებენ არსებულ სამხედრო ბაზებს.

ორივე მხარე ერთობლივ შეამცირებს შეიარაღებული ძალების რიცხვს და ბიუჯეტის ანარიცხებს სამხედრო ხარჯებისათვის, გაადიდებს ასიგნოვებს ეკონომიური და სოციალური საჭიროებისათვის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების მიზნით.

2. ეკონომიურ დარგში ორივე მხარე განახორციელებს ადგილობრივი წარმოების საქონლის გაცვლას ვიეტნამის ორივე ნაწილის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და ეკონომიური განვითარების ინტერესებისათვის.

3. შეხვედრისა და მოლაპარაკებისათვის ხელსაყრელი ვითარების შექმნის მიზნით ორივე მხარე აკრძალავს ყოველგვარ საქმიანობას, რომლის მიზანია ომის პროპაგანდა და მტრობის გაღვივება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. ამავე დროს ისინი იკისრებენ ვალდებულებას თავიანთი ღონისძიებანი მოახმარონ ხალხთა მშვიდობის, ერთიანობისა და ეროვნული გაერთიანების პროპაგანდის საქმეს.

4. ვიეტნამის ორივე ნაწილს შორის ნორმალური მიმოსვლის აღდგენისათვის ორივე მხარე ნებას დართავს კულტურულ, სამეცნიერო, ეკონომიურ, სასპორტო ორგანიზაციებს ერთმანეთს გაუცვალონ დელეგაციები და გაუზიარონ გამოცდილება; ქალებსა და ბავშვებს ნება მიეცემათ ნახონ თავიანთი ახლობლები, რომლებიც ვიეტნამის მეორე ნაწილში იმყოფებიან. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მოსახლეობამ უნდა მიიღოს შესაძლებლობა თავისუფლად გაცვალოს კორესპონდენციები.

ამ წინადადებათა განხორციელება, ხაზგასმულია შემდეგ ნოტაში, ვიეტნამის ორივე ნაწილის მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისი იქნებოდა და ხელს შეუწყობდა მშვიდობის შენარჩუნებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ხელისუფალთა ასეთ შეთანხმებას, უეჭველია, მხურვალედ შეხვდება და მხარს დაუჭერს მთელი ვიეტნამის მოსახლეობა და მოიწონებენ მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები.

## შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონფედერალური ბიუროს განცხადება

**პარიზი,** 26 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, 24 დეკემბერს პარიზში გაიმართა შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონფედერალური ბიუროს სხდომა. სხდომამ მიიღო განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ შრომის საყოველთაო კონფედერაცია პროტესტს აცხადებს საფრანგეთის მთავრობის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ კვლავ გაადიდოს ბინის ქირა. ეს გადიდება, ხაზგასმულია განცხადებაში, ხდება იმ დროს, როცა მცირდება ბევრი მშრომელის ხელფასი. იგი აღრმავებს ისედაც განუწყვეტლივ მზარდ სიძვირეს და ახალ საფრთხეს უქმნის მშრომელთა მყიდველობითს უნარიანობას.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურო მოუწოდებს პროფკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებიც შედიან შრომის საყოველთაო კონფედერაციის შემადგენლობაში, აქტიურად იბრძოლონ იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ფრანგ მშრომელთა მოთხოვნები ხელფასის, ყველა სახეობის დახმარებისა და პენსიების გადიდების შესახებ, აგრეთვე უმუშევრობის დახმარების ფონდის დაარსების შესახებ.

## გაიხსნა ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა

**ამსტერდამი,** 26 დეკემბერი. (საკდესი). აქ გაიხსნა ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგშია სამი საკითხი:

ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში (მომხსენებელი ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. პაულ დე გროოტი); პარტიის ახალი წესდების დამტკიცება (მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ჰუკსტრა); ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობის არჩევნები.

ყრილობას ესწრება 300-მდე დელეგატი და სტუმარი.

ყრილობის დელეგატებს შესავალი სიტყვით მიმართა ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჰარი ფერგეიმ. იგი მოკლედ შეეხო ყრილობის წინაშე დასახულ ამოცანებს და დელეგატთა სახელით გამოთქვა მტკიცე პროტესტი ჰოლანდიის ხელისუფალთა დისკრიმინაციული მოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც უარი უთხრეს შემოსასვლელი ვიზების მიცემაზე საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების, აგრეთვე ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დელეგაციებს.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში გააკეთა ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხ. პაულ დე გროოტმა.

ყრილობის მუშაობა 29 დეკემბრამდე გასტანს.



**იაპონია.** ივატეს პრეფექტურის მთიან რაიონებში ჯერ კიდევ არსებობს ფეოდალიზმი. გლეხები ხის ნახშირს წვავენ მემამულის ტყეებში. წლის განმავლობაში რამდენიმე დღეს მოვალენი არიან უფასოდ იმუშაონ. **სურათზე:** (ზემოთ) გლეხის ოჯახი ხის ნახშირის გამოწვაზე ივატეს პრეფექტურის მთის ტყეებში.

ამას წინათ 900-მდე პოლიციელი თავს დაესხა „ოძის“ კომპანიის კუთვნილი კასუგაის ქარხნის გაფიცულ მუშებს. შეტაკების დროს სერიოზულად დაიჭრა 88 მუშა. **სურათზე** (ქვემოთ): პოლიციელები სცემენ კასუგაის ქარხნის გაფიცულ მუშებს.

ჯაპან პრესის სააგენტოს ფოტო.

# კაიროს ისტორიული კონფერენცია

**შ. კურდღელაშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

გაივლის ხანი, საბოლოოდ ჩაბარდება წარსულს კოლონიური ჩაგვრის, ეროვნული და რასობრივი უთანასწორობის სამარცხვინო ეპოქა, მაგრამ ახალი, თავისუფალი სამყაროს ადამიანებს მუდამ ეხსომებათ აზიისა და აფრიკის ქვეყნების თანამეგობრობის ისტორიული კონფერენცია, რომელიც 1957 წლის 26 დეკემბრიდან 1958 წლის 1 იანვრამდე მიმდინარეობდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქ კაიროში და რომელმაც ბანდუნგის კონფერენციის შემდეგ კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა აღმოსავლეთის ხალხთა კოლონიური ჩაგვრის უღლისაგან განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მატიანეში.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების თანამეგობრობის კაიროს კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 600 დელეგატი აღმოსავლეთის 45 ქვეყნიდან, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა მთელი კაცობრიობის ორ მესამედს აღწევს. კონფერენციის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ როგორც აღმოსავლეთის უკვე თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფოების, ისე აზიისა და აფრიკის იმ ქვეყნების მიერ წარგზავნილი დელეგატები, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან კოლონიური ბატონობის უღელქვეშ.

ბანდუნგის კონფერენციისაგან განსხვავებით, რომელშიც აღმოსავლეთის სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურები და სხვა ოფიციალურ თანამდებობათა პირები მონაწილეობდნენ, აზიისა და აფრიკის ქვეყნების თანამეგობრობის კაიროს კონფერენცია უფრო ფართო, დემოკრატიული და სახალხო ხასიათისა იყო. კაიროს კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ აზიისა და აფრიკის ქვეყნების დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მშვიდობის მომხრენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, კომერსანტები, სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა და თემთა წარმომადგენლები.

კაიროს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, სადაც 7 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა აზიისა და აფრიკის ხალხთა ეს გრანდიოზული მეჯლისი, გარდა კონფერენციის დელეგატებისა, შეკრებილი იყო დაახლოებით სამი ათასი სტუმარი. [illegible] ზიო კომპანიისა და კინოქრონიკის ასზე მეტი კორესპონდენტი. კაიროს კონფერენციისადმი მსოფლიოს საზოგადოებრიობის ასე დიდი ინტერესი ძირითადად იმით იყო განპირობებული, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოწვეულ აღმოსავლეთის ხალხთა სხვა კონფერენციებთან შედარებით კაიროს კონფერენცია ყველაზე ფართო წარმომადგენლობითს ხასიათს ატარებდა.

აზიისა და აფრიკის ხალხთა თანამეგობრობის კაიროს კონფერენციამ არაერთი საჭირბოროტო საერთაშორისო პრობლემა განიხილა. კონფერენციამ იმსჯელა საყოველთაო განიარაღების, ატომისა და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და ამ იარაღის გამოცდისა და წარმოების დაუყოვნებლივ შეწყვეტისათვის მშვიდობისმოყვარე ხალხთა ბრძოლის გაძლიერებაზე. კაიროს კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აღმოსავლეთის სუსტად განვითარებული ქვეყნების ეროვნული მეურნეობისა და კულტურის აღორძინებისა და შემდგომი განვითარების პრობლემებს, იმპერიალისტური ჩაგვრისა და კოლონიალიზმის გამოვლინებათა ყოველნაირი სახეობის წინააღმდეგ ბრძოლის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საკითხებს.

კაიროს კონფერენციამ მოიწონა და ერთსულოვნად მიიღო მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

კაიროს კონფერენციამ კიდევ ერთხელ ნათელყო საერთაშორისო ასპარეზზე არსებულ ძალთა თანაფარდობაში ომის მომდევნო წლებში მომხდარი ძირეული ცვლილებანი და, კერძოდ, ის მჭევრმეტყველური ისტორიული ფაქტი, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე კოლონიური ბატონობის უღელქვეშ მყოფი აზიისა და აფრიკის მრავალმილიონიანი ხალხები ამჟამად სულ უფრო და უფრო გაბედულად გამოდიან და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსოფლიოს ხალხთა პოლი- [illegible] სადღაც შორეულ ლონდონში, ვაშინგტონში, პარიზსა თუ ჟენევაში წყდებოდა.

კაიროს კონფერენციამ გადაჭრით დაგმო იმპერიალისტთა დრომოჭმული კოლონიური სისტემა. მოუწოდებდა რა მსოფლიოს ყველა კუთხისა და ერის ხალხთა თანასწორობისა და თავისუფლებისაკენ, ინდოელი ხალხის წარმომადგენელმა ქალბატონმა რამეშვარი ნერუმ კონფერენციაზე განაცხადა: „ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ თავისუფლება, როგორც ბევრი სხვა რამ, განუყოფელია. ჩვენ ვერ მივაღწევთ სრულ თავისუფლებას, ვიდრე აზიისა და აფრიკის ხალხთა ჩვენი ოჯახის თუნდაც ერთი წევრი მონობაში იმყოფება. ამიტომ ჩვენი ვალია განვაგრძოთ ბრძოლა ამ ორ კონტინენტზე მცხოვრები ყველა ხალხის სრული თავისუფლებისათვის“.

აზიისა და აფრიკის ხალხთა თანამეგობრობის კაიროს კონფერენციამ ერთსულოვნად აღიარა სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიური წყობილების სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობის ცნობილი პრინციპები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპები და მიზნები.

კაიროს კონფერენციის დელეგატებმა მოწოდებით მიმართეს დიდ სახელმწიფოთა მთავრობებს, რათა მათ მიებაძათ საბჭოთა კავშირის მაგალითისათვის და დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ ატომისა და წყალბადის იარაღის გამოცდა.

კონფერენციამ მოუწოდა მსოფლიოს ყველა მეცნიერს შეძლებისდაგვარ ღონისძიებათა განხორციელებით აიძულონ სათანადო სახელმწიფოთა მთავრობები ხელი აიღონ ატომისა და წყალბადის იარაღის სამარი მიზნით ხმარებაზე და მოსპონ ამ გამანადგურებელი იარაღის არსებული მარაგი.

დაგმო რა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კოლონიური პოლიტიკა, კაიროს კონფერენციამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ალჟირის, კენიის, კამერუნის, ტოგოს, მადაგასკარისა და აღმოსავლეთის სხვა ხალხთა თავდადებულ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. კონფერენციამ მხარი დაუჭირა ინდონეზიის რესპუბლიკისათვის დასავლეთ ირიანის დაბრუნებას [illegible]

მათი ქვეყნების ეროვნული ერთიანობისაკენ.

კაიროს კონფერენციამ გადაჭრით დაგმო იმპერიალისტთა მიერ შეკოწიწებული აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებანი — მანილის პაქტი (სეატო) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ბაღდადის ბლოკი (მედო) ახლო და შუა აღმოსავლეთში და აგრეთვე ამერიკელ მონოპოლისტთა ყბადაღებული „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინა“. ამასთან ერთად კაიროს კონფერენციამ ამხილა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ისრაელის სახელმწიფოს აგრესიული პოლიტიკა ახლო და შუა აღმოსავლეთში.

კაიროს კონფერენციის დელეგატებმა მოითხოვეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი ადგილის აღდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ერთსულოვნად აღიარეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის უფლება მიღებული იყოს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად.

აზიისა და აფრიკის ხალხთა თანამეგობრობის კაიროს კონფერენციაზე უმთავრესი ყურადღება დაეთმო აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებს, რის გამო უცხოელ კორესპონდენტთა უმრავლესობამ ამ კონფერენციას „ეკონომიური ბანდუნგი“ უწოდა.

აზიისა და აფრიკის ხალხთა კაიროს კონფერენციის დელეგატებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა დელეგატის გამოსვლამ, რომელმაც აღმოსავლეთის სუსტადგანვითარებულ ქვეყნებს შესთავაზა საბჭოთა კავშირის უანგარო ეკონომიური და ტექნიკური დახმარება და თანამშრომლობა.

კაიროს კონფერენციის დელეგატებმა გადაწყვიტეს შეექმნათ ისეთი მუდმივი ორგანიზაცია, რომელიც ცხოვრებაში გაატარებს და პრაქტიკულად განახორციელებს [illegible] ტკიცებას, უზრუნველყოფს ამ ორი კონტინენტის ქვეყნებს შორის ეკონომიური, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარებას. აღნიშნული მიზნით კაიროს კონფერენციამ შექმნა აზიისა და აფრიკის ხალხთა თანამეგობრობის საბჭო და მისი მუდმივი სამდივნო გენერალური მდივნის და 10 წევრის შემადგენლობით. გენერალურ მდივნად არჩეულ იქნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელი, ხოლო მდივნებად — კამერუნის, ჩინეთის, ინდოეთის, ინდონეზიის, ერაყის, იაპონიის, სუდანის, სირიის, სსრ კავშირისა და განას წარმომადგენლნი. სამდივნოს მუდმივ ადგილსამყოფელად მიჩნეულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დედაქალაქი კაირო.

კაიროს კონფერენციის შემდეგ განვლილმა წელიწადმა ნათელყო აზიისა და აფრიკის ხალხთა თანამეგობრობის ისტორიული პროცესის შემდგომი გაფართოება და გაღრმავება, რის აშკარა მაგალითსაც მარტო 1958 წლის მანძილზე წარმოადგენენ: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და დასავლეთ აფრიკის შეერთებული შტატების შექმნა, აგრეთვე აფრიკის ხალხთა კონფერენცია, რომელიც ამას წინათ გაიმართა ქალაქ აკრაში და ნათლად გამოავლინა აფრიკელ ხალხთა განუზომელი სწრაფვა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ.

აზიისა და აფრიკის ხალხთა თანამეგობრობის კაიროს კონფერენციის წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყნის ხალხები წარმატებით [illegible] მრავალმილიონიან ხალხებს მათი თანამეგობრობის, ერთიანობის, ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებისა და განვითარების საქმეში.

რედაქტორი დ. [illegible]